

K 202 277  
3



საქართველოს სერ მიცნობილი განადევია  
სოციალურ და კულტურულ ტრადიციათა პროგნოსტიკის  
სამიცნობო-საკონსულტინგოს ცენტრი თბილისი გამოცემული  
გიგანტური

ტრადიცია და თანამედროვეობა № 19

03. მ ნ ი ა უ რ ი

დაკრძალვის ღესები ქართლში  
ძველად და ახლა



გამოცემულია „მიცნობილია“

თბილისი

1987



ნაშრომი ეყრდნობა 1947—49 და 1983—84 წლებში ქართლში შეკრებილ ეონოგრაფიულ მსალას, რაც საშუალებას იძლევა ოვალი გაუდევნოთ დაკრძალვის წესებში მომზღვარ ცელალებებს 35 წლის მანძილზე.

සෙරුවා සාරුදායුලු යෝගීයා: නැං. සේන මුද්‍රණුකුරුධාතා ඇඟිල්ඩියා හිමින්දුවන්ටු අල. රුධායිංඡ (මතාවාරි උගුදායුලුවර්), පිටු. මුදුන්. පෑදු. ත. තොරුවාඩුවලි, ගුලුවල. මුදුන්. ලංජුං. ද. සෑවුව්‍යුලුව්‍ය, මුරු. මුදුන්. ලංජුං. ම. කෘෂිලාං (මත. උගුදායුලුවර් මතාදුගුලුව), මුරු. මුදුන්. ලංජුං. ට. මුදුන්දාං (මදුවාන්), පිටු. මුදුන්. ලංජුං. ජ. මැම්පූලාංඩු.

ნაკვეთის რედაქტორი: ისტორიულ მეცნ. კანდ. ი. სურგულაძე

ରୁକ୍ଷେଣ୍ଟେନ୍ଟ୍ସିଃ ଇସ୍ଟ. ମେଫନ. କାନ୍ଦିଲାଟ୍ୟେଡି: ନ. ମିନ୍ଦାପ୍ରେ,  
ଡ. ଗୋଟିଳଙ୍ଗାଠ୍ଟ

ବୁଜା ଲାହ ପରିମାଣ  
ବୁବ, ଲବ, କୁଳବୁବ,  
ଧର୍ମପାତ୍ରଙ୍ଗା

၁၃၇၂-၂၀၀၉  
နိုင်ငံတော်လွှာ

## შესაბალი

50-იანი წლების მიზნაზე (1947—48—49 წლებში) ქართლის კომპლექსურ ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში მონაწილეობის დროს, სხვა თემებთან ერთად (ჩატის მონები და ქადაგ-მკითხავები, კოსმოგონია), მასალას კრებადი მიცვალებულის კულტზეც. მაშინ ექსპედიციამ იმუშავა შიდა ქართლის თითქმის ყველა რეგიონში (არაგვის ხეობის ქართლი, მცხეთანის ველი, მდინარეების — ქსნის, რეხულის, მეჯუდისა და ლიახვის ხეობები). მიცვალებულთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებების შესახებ საგანგებოდ შეკრიბე მასალა 1983—84 წლებშიც მცხეთის, დუშეთის, ქასპის, თეთრი წყაროსა და გარდაბნის ოაინნებში.

თუ 40-იანი წლების ჩანაწერები ისახავს პერიოდს XIX ს. მეორე ნახევრიდან XX ს. 50-იან წლებამდე, ახალი მასალა თანამედროვე ყოფამდე მიღწეულ ვითარებას გვიჩვენებს. ადრე შეკრებილი და 1983—84 წლების მანძილზე მოპოვებული მასალების ურთიერთშეკრებისა და შედარების საფუძველზე საკითხის შესწავლა, გარდა თავისთვალი მეცნიერული მნიშვნელობისა, იმითაც არის საინტერესო, რომ თვალი გვადევნოთ თუ რა ტრანსფორმაცია განიცადა კულტის ცალკეულმა ელემენტებმა 50-იანი წლებიდან დღემდე, რა შეიძლება მივიჩნიოთ დადგებით ტრადიციად და რის წინააღმდეგ ავიმაღლოთ ხმა.

ვიდრე უშუალოდ საძიებო საკითხებზე გადავიდოდეთ. ორიოდე სიტყვით შევეხებით მიცვალებულის კულტის შესწავლისას ყურადსალებ ზოგიერთ მომენტს.

ამა თუ იმ ხალხის წეს-ჩვეულებების კვლევის დროს უნდა გავითვალისწინოთ ის ეთნიკური ვითარება, რომელიც შესასწავლი რეგიონისათვისაა დამახასიათებელი. ცნობილია, რომ სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელთა ერთად ან მჴიდრო მეზობლურად ცხოვრების პირობებში, მოსახლეობის ურთიერთშერევის წყალობით, წეს-ჩვეულებებიც ერთმანეთის გაელენს განიცდიან. ასეთ ვითარებაში ძნელია თავდაპირველი სახით მივაკვლიოთ ამ ეთნოსებისათვის დამახასიათებელ წესებს. მართალია, მეტ-ნაკლები სისრულით ხერხდება ვთქვათ, იმავე ქართლის ქართული მოსახლეობის ტრადიციული წეს-ჩვეულებების აღწერა-დადგენა, მაგრამ მასში გამორიცხული არ არის არაქართული პლასტების არსებობაც. რომ არაფერი ვთქვათ, საუკუნეთა მან-

ძილზე მიმდინარე მოსახლეობის მიგრაციაზე, უცხო დამშეტობთა შეერთვისი სარწმუნოებისა და წესის ძალად დამკვიდრების ცდებზე, მათ მარისია გავისხენოთ დიდი ჯგუფების სახით უცხო ტომის ხალხთა ქართლში ჩამოსახლების ფაქტები. დავასახელებ რამდენიმე მოწყვეტილება. ლნტი მროველის ცნობით — სპარსეთის მეფე ქაიხოსრუს მცირების უკავებების ვრწროებულ თურქები მცხეთის მამასახლისის შუამდგომლობით ქართველებს შეცემის დასავლეთით, სარკინეთში დაუსახლებით (III ს. ჩ. წ.). „და იყვეს ესე თურქი და ქართველი ნებისმყოფელ ერთმანეთისა. მოელოდეს მოსლვასა სპარსთასა, ამაგრებდეს ციხეთა და ქალაქთა. მას უამთა შინა სადათაც ეინ მივიდის ძრის მოქმედთაგან საბერძნეთით, გინა ასურით ოტებული, გინა ხაზარეთით, ყოველივე დაიმეგობრიან ქართველთა, შემწეობისათვის სპარსთა ზედა“<sup>1</sup>. ეს მოსახლეობა შეერთა ქართულს და თავის წეს-ჩეეულებიდან შეერწყობა.

განსაკუთრებით დიდი რაოდენობით უცხო ეთნოსის საქართველოში დამკვიდრება დავაშირებულია. დავით აღმაშენებლის შეირ ყივჩაღთა 40 000 ოჯახის ჩამოსახლებისთან 1118 წელს. ყივჩაღთა ნაწილი მან „დაასახლა ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოში, თურქ-სელჩუკთა შემოსევების შედეგად დაცარიელებულ შიდა ქართლში, ჩრდილო სომხითში, პერეთში. საქართველოს სასაზღვრო სანაპირო ზოლში. სადაც მათ მოვალეობას სახელმწიფო საზღვრის გამაგრება შეადგენდა“<sup>2</sup>.

თანდათან გადმოსახლებულებმა ქრისტიანობა მიიღეს: თანაც ქართული შეითვისეს და ქართველებად იქცნენ „იმ 225 000 გადმოსახლებულ ყივჩაღთაგან არც ერთი მათი შთამომავალი ყივჩაღად აღარ შერჩა. არამედ ყველანი ძალდაუტანებლად. უნებლიერ გაქართველდნენ“<sup>3</sup>.

დიდი რაოდენობით იყო შიდა ქართლში სომხური მოსახლეობაც. დავით აღმაშენებელმა ხელმეორედ ააგო ქ. გორი და შიგ სომხები დასახლა<sup>4</sup>.

სომხურ მოსახლეობას მღვდელომშახურებისათვის მარტო XX ს. დასაწყისისათვის შიდა ქართლში 133 ეკლესია და 137 მღვდელი ემსახურებოდა. მრევლი კი 100 000 კაცს აღწევდა<sup>5</sup>.

XIV საუკუნიდან ქართლის მთაში იწყება ოსური ნაკადის შემოლწევა. რომლებიც ჯერ დიდი და პატარა ლიახვის სათავეებთან, ხოლო

1 ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 15.

2 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 226—227.

3 უ. დ. და ხ. შ. ვ. ი. ლ. ი., თხზულებინი, ტ. III, თბ., 1983, გვ. 215—216

4 იქვე, გვ. 218.

5 ლ. მელიქსეტბეკ, არმანი ინ საქართველოს ისტორია, 1978, გვ. 150.

უფრო მოვიანებით ქსის ხეობის სათავეებში სახლდებიან. დაუღუ-  
რი მოსახლეობა ოსური დაფენების ქვეშ ექცევა. ოსური დაფენების  
ქვეშ მოექცა აღგილებული მოსახლე ქართველობაც რომელთაც სახლდე-  
ბან მიიღეს როგორც სალაპარაკო ენა, ისე ზე-ჩვეულებული ტელე-  
ტელე დაწყებული XVI საუკუნიდან, დღემდე გრძელდგურული უშა-  
კუნიდანვე თანდათან გაფართოვდა ამ პროცესის მოქმედების არეალი.  
თუ ქართველთა და გაქართველებულ დვალთა გაოსება წინა საუკუ-  
ნეებში მხოლოდ მაღალ მთიან ხეობებს მოიცავდა, XIX—XX საუკუ-  
ნეებში პროცესმა გადმოინაცვლა დაბალმთიან და გარდამავალი ხო-  
ლისავენ.

უოველივე ზემოოქმულიდან თვისითავად იგულისხმება, რომ სხვა-  
დასხვა ეთნოსთა შერევა შესაბამის კვალს ტოვებს ამ ხალხთა წეს-  
ჩვეულებებში.

შედა ქართლის სოფელთა ნაწილი დღეს ქართველებითა და ოსე-  
ბით არის დასახლებული. ქართველის ოჯახში მოხვედრილი ოსი დი-  
ასახლისი, ბუნებრივია, თვის ტრადიციულ ცოდნასა და რწმენის ელე-  
მენტებს შეიტანს ყოფის სხვა მხარეებთან ერთად რელიგიურ წეს-  
ჩვეულებებშიც. დღეს ძალიან ძნელია გამოვყოთ კულტის შემაღვევე-  
ლი ელემენტებიდან არაქართული წარმოშობის მონაცემები. ისინი  
იმდენად შესისხლხორცებულია ერთმანეთთან, რომ საგანგებო, ამ კუ-  
თხით წარმართული კვლევის გარეშე, მათი გამოცალკევება ჭირს.

გარდა სხვა ეთნოსის ხალხთა ზეგავლენისა, მიცვალებულის კულტ-  
ში მოწმდება ისეთი შეხედულებები და შესატყვისი წეს-ჩვეულებები.  
რომელებიც საერთო და დამახასიათებელია ზოგადად ამ კულტისა-  
თვის რომელიც გნებავთ ხალხში. წეს-ჩვეულებები რელიგიის აღრე-  
ული ფორმებიდან იღებს დასაბამს და ყველგან ძირითადად ერთ მი-  
ზანს ემსახურება — გარდაცვლილთა სულებზე ზრუნვას. როგორც მა-  
თი, ისე საკუთარი კეთილდღეობის მოპოვების მიზნით. [სხენებული წე-  
სები ძირითადად ანიმისტურ მსოფლმხედველობას უკავშირდებ] ან  
მაგიურ ქმედებებში გამოიხატება. ექვე უნდა დაიკინოთ. რომ ქრისტი-  
ანობის ზეგავლენით ამ კულტში არსებული შეხედულებები და წეს-  
ჩვეულებები, რაც განსაკუთრებით თვეს იჩენს მიცვალებულისადმი  
განკუთხნილ დღესასწაულებსა და საიქო ცხოვრების შესახებ ასე-  
ბულ წარმოდგენებში, ასევე საერთო მოვლენაა.

4 გ. გვ. 8 ა. აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული ნარ-  
კევეები, თბ., 1983, გვ. 169—171.

ჩვენი მიზანი ის კი არ არის, გავარკვიოთ, თუ გენეტიკურად სა-  
იდან შეიძლება მომდინარეობდეს ესა თუ ის წეს-ჩვეულება, რომედ  
ის, თუ როგორ აისახა მათში აღვილობრივი ყოფის ცალკეული მხა-  
რეებისათვის დამახასიათებელი ელემენტები, ან რა ქატოზ ჯელის დე-  
ბიან ისინი კულტში. ვაჩვენოთ, ის, რაც ქართველ ხალხში მრავალი და ყოფის  
წარმოდგენებში შეუტანია თავიანთი ცხოვრების წესისა და ყოფის  
შესაბამისად.

## გარდაცვალების დროს შესასრულებლი წილები

რაუსაც შეამჩნევდნენ — ავადყოფს მორჩინის პირი აღარ ჰქონდა, სულთმობრძავს სანთელს აუნთებდნენ და ფეხისა და ხელის გულებზე თაფლს წაუსვამდნენ სიკვდილა დატებეს და უტანგველად მიიძაროს მის სულიო. თუ მომაკვდავი მანიც წვალობდა „სული ხორცს არ ეყრდოდა“, ამას მის მიერ სიცოცხლეში ჩადენილი რამე ცოდვის მიზეზით ხსნიდნენ და ცდილობდნენ ისეთი საგანი დაენახვებინათ, რისი ცოდვაც შეიძლება მას ჰქონოდე მაგალითად, გუთნის-დედა თუ იყო, ან საქონელს ეჭვეოდა უდრიერად, — უღელს, აქეურსა და სატრეს დაანახვებდნენ, თუ მეცხავე იყო, ჩუმად თავზე მატყლს დააკრეჭდნენ, მიწის ხარბსა და მიჯნის მოღალატეს — სამინის მიწას ჩაუყრიდნენ, ქალს თითისტარს, მაკრატელს, ძაფს, კვერცხსა და ა. შ. მისცემდნენ ხელში.

ცოდვისა და მაღლის პრინციპით მიდგომა სულთმობრძავისათვის გამოიყენებული სიკვდილის გააზრება, როგორც ჩადენილი ცოდვის შედეგია, გავრცელებული შეხედულებაა განსაკუთრებით ბარის საქართველოში. ქრისტიანული მცნება ცოდვა-მაღლის შესახებ ხალხის ზნეაბისა და ტრადიციის, მისი მსოფლმხედველობის პრიზმია გადატეხილი და ყოველდღიური ცხოვრების აუ-კარგის დონემდეა დაყვანილი (მიჯნის დარღვევა, მატყლის მოპარვა, კერვის დროს ხელმრუდობა, კრუხ-წიწილის ღალატი — საბუდორიდან კვერცხების ამოცლის სახით და ა. შ.). ამ ჩვეულებებიდან საინტერესოა საქონლის, კრძოდ ხარისაღმი დამოკიდებულების საყითხი. [ხარი როგორც მხენელი] როგორც გამწევი ძალა და ამდენად [ოჯახის მარჩენალი,] მოვლასა და საგანგებო ზრუნვას მოითხოვდა. საქმარისია გვიხსნოთ როგორ აისახა ხარი ქართულ მითოლოგიასა და ფოლკლორში (ლვთაებათა დაარსების საქმეში მონაწილეობა, აუ ძალებთან ბრძოლის ძალა, ცის კაბა-

<sup>7</sup> მცნება მეცნევითა: — „არ კაც ჰელა, არ იმრუშო, არ იპარო, არა ცილი სწამო მო მოყვასსა შენისა წამებითა ტრუთა, არა გული გათქმოდეს ცოლისათვის მოყვასისა შენისა, არცა გლელი გოთქმიდეს სხელისათვის მოყვასისა შენისა, არცა ყანისა მისისა, არცა მონისა მისისა, არა მხევლისა მისისა, არცა ხარისა მისისა, არცა კალება მისისა, არცა უოლისა მისთვის, არცა იყვას მოყვასისა შენისა“. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 1983, გვ. 422—423.

დონზე ირემთან შეჯიბრების მოტივი. ლეთისაგან ადამიანის შენობების ვალდებულება და ა. შ.), მისი როლი რელიგიურ-სოციალური წუნების რიტუალებში, რომ ნათელი განცდეს ხარისაღმი როგორც საფულტო ცხოველისაღმი ხალხის (საკრალური) დამოკიდებულებული უშესულობების დამატების შებალვა, მისაღმი უდიერი მოპყრობა, გმიშბურის მიმართ მუშაობის პროცესის დროს, დიდ ცოდვად ითვლებოდა და ცუთნის-დედის გაძნელებული სიკედილიც ხარისაღმი უდიერი მოპყრობით გამოწვეულ სასჯელად მიიჩნეოდა.]

იმ საგნის დანახვების ფაქტი, რისი ცოდვაც შეიძლება მომაკვდავს პქონოდა, ცოდვათა მონანიების, აღსარების დონეზე გადის და მომაკვდავისათვის შენდობის საჭინდარია.

〔გარდაცვალებულს ქვრივი, ხნიერი ქალები მოუკლიდნენ. ქმარ-შვილიანი არ „დაპკრეცდა“ — ზარალი იცისოდა დაბანდნენ და ჩააცმევდნენ, ქალს ქალები, ხოლო კაცს კაცები.]

კუბოში ჩასვენებამდე მიცვალებულს ხელ-ფეხს გაუკრავდნენ. შემდეგ კი შეუბსნიდნენ, საიქოსაც რომ ხელფეხშეკრული არ ყოფილიყო. მსუდრავი ორი სამი დედაკაცი იყო, მათ თუ უჭირდათ, აბ-ლევდნენ მიცვალებულის ტანისამოსს, მის თავთან ნადგამ ლვინის დოქსა და გამს. შეიძეგ კოლიოს შესთავაზებდნენ ხოლმე, ხარჯებისა და მკვდრის სხვა მოსაგონარ დღეებში კი უსათუოდ დაუძახებდნენ.

შემოსილ მიცვალებულს კუბოში ჩასვენებდნენ და ზედ სუღა-რას გადააფრებდნენ. მთხოვნელთა გადმოცემით, სუღარა ქართლში მიცვალებულისათვის ზემოდან გადასაფარებელ ქსოვილს ეწოდებოდა წინათ ამირიკა იცოდნენო, — გვეუბნებიან მთხოვნელები, ახლა იძ-რეშუმს აფარებენ და სუღარიანად მარხავენო.

საქართველოს სხვა კუთხეებში — კერძოდ დასავლეთ საქართველოში (გურია, სამეგრელო, იმერეთი, სვანეთი) მიცვალებულის გადასაფარებელი კი არ ითვლებოდა სუღარად; არამედ ტილოს ქსოვილი, რომელშიაც მიცვალებულს ახვევლნენ ეს ქსოვილი მცენარეული ბო-ქსაგან მზადდებოდა.

კ. რუხიძეს საგანგებოდ აქვს შესწოვლილი დასავლეთ საქართველოში სასუდარე ქსოვილის დამზადებისა და მისი მოხმარების წესი. ირკვევა რომ სასუდარედ იხმარებოდა სელის, კანაფის ან თუთის ხეს ლათანისაგან მოქალაქეობით უხეში ქსოვილი, — ტილო, რომელსაც გასანათლავდნენ და მიცვალებულს ჩაუცმელად შიგ ახვევდნენ. კ. რუ-

8 თ. სახოკია. მიცვალებულის კულტი სამეგრელოში, 1946, გვ. 168; გალდენტერის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, თბ., 1962, გვ. 151; T. Maniagava z.e. Народные обычай и поверья Гуриицев, СМОМПК, II, 1893, с. 77; ც. ბეჭარაშვილი, სენა ქალის სამოსი, სეანეთის ეპინგრაული შესწავლისათვის, 1970, გვ. 184 — 185.

ხაძე მიუთითებს მიცვალებულის შიმართ შესრულებული ამ ჭელი წესის. პირველ რიგში, უტილიტარულ დანიშნულებაზე და მის მოვალეობაზე უკავშირო შენიშნულებას და იმ დასკვნამდის მიღის. რომ მიცვალეული შემცირდებოდა ამგვარი ტილოს გამოყენება პრაქტიკულ დანიშნულებაში უკავშირო თაღ, გაპირობებული უნდა ყოფილიყო მცენარეთა (სელი — კანაფი) საკულტო მნიშვნელობითი.

აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ ქართლში ამ წესზე უნდა მიუთითებდეს თემურაზ მეორის „დოისა და ღმის გაბასებაში დაცული შემდეგი ცხობა:

„შევდარა შემოსივენ მას ქამსა, შემოახვევენ ტილოსა, ჩააფიცენ კუბისა ძნელსა არ სააფიცილოსათ.

მაგრამ სელისა და კანაფის ფართო საქართველოსთვის ჩანს დამახასიათებელი და ბუნებრივია, მისი გამოყენება საკულტო დანიშნულებით ამ რეგიონის ეთნოგრაფიულ ყოფაში მეტად იჩენდეს თავს!!.

აღმოსავლეთ საქართველოს მთაში სუდარა ცხედრის გასახვევ სამი ფერის სხვადასხვა ქსოვილს ეწოდებოდა. ეს ფერებია ლურჯი, ოვორი და წითელი<sup>12</sup>. ფერთა ამ რიგით განსაზღვრავენ და მასში მიკვალებულის განვევენ მკვლევარნი ვერტიკალურ განზომილებაში სამი სკნელის — ზესკნელის, საზრეოსა და ქვესკნელის რწმენასთან აკავშირებენ და ფერთა სიმბოლიკასაც ამ ფერთა შესაბამისად მიიჩნევენ.

ქართლში ამ ვითარების შესატყვისი მასალა არ დასტურდება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ზოგჯერ თეორს ლურჯი ან წითელი ფერის სუდარა სცვლიდა.

ჭელი წესის თანაბმად, თუ მიცვალებული ახალგაზრდა იყო, ჯვრის წერის — გვირგვინის ტანისამოსით შემოსავდნენ და ცოლსაც ზაკრძალვამდე გვირგვინის ტანისამოსი უნდა სცმოდა. ზოგიერთ სოფელში მოხუცი კაცები კუბოსთვის ინახვდნენ ჯრისწერის ჩრხა-ახალუს და იმით იმარხებოდნენ.

ეს წესი საქართველოში საყოველთაოდ გავრცელებული ჩანს — კადევ ერთი დღე იყო, როდესაც ადამიანს თეორი საქორწილო ტანი-სამოსი უნდა ჩაეცეა. ეს იყო ცოლის, თუ ქმრის სიკვდილის დღე, თუ ქმარს ცოლი მოუკვდებოდა, ან პირიქით, დასაფლავების დღეს.

9 გ. რუსაძე. ხალხური ფერისულტურა დასვლეთ საქართველოში. თბ., 1976, გვ. 78—81.

10 თე იმურ რაზ მეორე, ცოლისა და ღმის გაბასება. „ჩერენი საუნგე“, ტ. 5, გვ. 337, თბ., 1962.

11 საყურადღებოა, რომ გულდენშტეინს, რომელსაც აღშეტილი აქვს მიცვალებლის ტილოში განვევენის წესი იმერეთში (ხონი), შელავერში უნახავს როგორ ძარჩადნენ თეორ ტილოში განვეულ თათას უაცმოდ.

12 მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. III, 1940.

თეორი საქორწილო ტანისამოსი უნდა სცმოდა, ე. ი. ის ტანისამოსი, რომელიც ქორწილის დროს ეცვა. მის შემდეგ იხდიდა ამ ტანისამოსის და იცვამდა შევს<sup>13</sup>.

დ. გორგაძეს ამ წესის შესახებ მითითებული აქვთ ქორწილის უნდა სცმოდა უკავშირდებოდა „როდესაც თუშეთში ახალგაზრდა ქალს ქმარი გარდაცვალებული იყო“ საქორწინო ტანისამოსი გამოწყობილი, სამკაულებით მორთული, მიცვალებულს სასაფლაომდე მიჰყვებოდა. დასაფლავების შემდეგ კაითალხებოდოდა<sup>14</sup>.

შესაძლებელია ამ შემთხვევაში ეს წესი უკავშირდებოდეს ქორწინების სიმტკიცეს, მისი გაუყრელობისა და დაურღვევლობის პრინციპს. მეუღლე სიმბოლურად, როგორც მისი პატიარალი, მიჰყვება მიცვალებულს იმავე შეხედულების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც მიცვალებულს ცოცხალ ცხენსაც ატანენ, ალვირით ხელზე გადაცმულს, რათა საიქიოს თავისი საფეხოე ჰყავდეს. თუ ოდესლაც მეუღლის ცოცხლად ჩატანება გარდაცვლილისთვის<sup>15</sup> წარმოადგენდა, ერთი მხრივ, იმის გამოხატულებას, რომ მკვდართა სამყაროში გარდაცვლილს ყველაფერი ისევე ჭირდება, როგორც საქაოს, ხოლო მეორე მხრივ, ეს ჩვეულება საქორწინო კავშირის დაურღვეველობისა და მარადიულობის რწმენის ხაზგამას წარმოადგენდა, ქართლში ამ შეხედულებასა და რეალურ წესს, სიმბოლური ხსიათი უნდა ჰქონდეს მიღებული. საქორწინო ტანისამლით კუბოს კარამდე შისვლა, იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ამქვეყნიური მეუღლე ქორწინების კავშირით არის კუთვნილი მიცვალებულისთვისაც.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიცვალებულის კულტის ვესწავლის შედეგად, დ. გორგაძე ერთიანებს დაქრძალვის დროს შესასრულებელ ერთი რიგის წესებს და წერს: „ხევსურეთსა, ფშავესა და თუშეთში არსებული შეხედულება მიცვალებულის სულზე, როგორც ადამიანის ორეულზე და ამ სულის მატერიალიზაციაზე, რომელიც ანიმისტური რწმენის საფუძველზეა წარმოშობილი, თავს იჩენს დაქრძალვის მთელ რიგ საწესო მოქმედებებში. ასეთებია: მიცვალებულის თავთან მისი კუთვნილი ნივთებისა და სანოვაგის დაწყობა ჭამით ხორბლის, წყლიანი და არაყიანი კურჭლების დადგმა, სანთლის ანთება, საფლავში „საგზლის“ გატანება და სხვ<sup>16</sup>.

იგივე შეიძლება იჯევას ქართლში დადასტურებულ წესებზე, რომელიც გამოიხატება მიცვალებულის თავთან ხორბლისა და სანოვა-

13 ი. გ. გ. ვ. ა. ხ. ი. შ. ვ. ლ. ი., მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III—IV, თბ., 1962, გვ. 27.

14 დ. გ. ი. თ. რ. გ. ა. ქ. ე., მიცვალებულთა კულტი აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთში, თბ., 1976, გვ. 126.

15 თ. ს. ა. ხ. თ. ე. ი. ა., დასახ. ნაშრომი, გვ. 178.

16 დ. გ. ი. თ. რ. გ. ა. ქ. ე., დასახ. ნაშრომი, გვ. 23.

გის დადგმაში; გარდაცვალების მომენტიდან ცხედარს გაუქრობდა ენთო სანთელი, რომელიც ხორბალში მაგრდებოდა. მიცვალებული თვის სანოვაგისა და სხვა საგნების თავთან დადგმა ქართლის სხვათა სხვა კუთხეებში შეიძლება განსხვავდებოდეს იმის მიხედვის სამყრელი უდგამდნენ. ზოგან ხილი იციან, ზოგან გამომცხვარი პური, ძარილი, ბოთლით წყალი, სანთელ-საგმელი.

უურადლებას იქცევს ხორბლის დადგმის საკითხი. მთხრობელთა გადმოცემით, თავთან ნადგამი ხორბლის ნაწილი წანდილად იხარშება, ხაწილი კი მიაქვთ და საფლავში თავთან ჩაუყრიან. მორწმუნეთა შეხედულებით ეს ხორბალი საიქიოს ჯეჭილად ამოდის და გარდაცვლილს იქ საკუთარი ცხვრებისათვის საძოვარი ექნება. გარდა იმისა, რომ ეს შეხედულება უკავშირდება რწმენის რომ თითქმს საიქიო საბჭოს გაგრძელებას წარმოადგენს და შავეთის მქვიდრთ ისევე ესაჭიროებათ ყველაფერი, როგორც ცოცხალ ადამიანებს, ნიშანდობლივია ის. რომ ეს მომენტი (ხორბლის ჩაუსხვა მიცვალებულის საფლავში) ხახგაბულია ქართლში, როგორც მიწათმოქმედების ძირითად მხარეში, ხოლო მოსავლიანობის ნაყოფიერება, ოქსლის გაცოცხლება-აღმოცენება, ზრდა და სიმწიფე რელიგიური შეხედულების თანახმად, დედაიწისა და მისი ქვეშეთის მკვიდრთა ნებაზედაც იყო დამკიდებული<sup>17</sup>.

ღამე მიცვალებულთან მხოლოდ მანლობლები და მოხუცი მანდილოსხები რჩებოდნენ. ქართლში ერთ დავამოწმეთ მიცვალებულისათვის ახალგაზრდების ღამის თენების ჩვეულება, როგორც ეს საქართველოს მთის კუთხეებშია დადასტურებული ე. წ. „ნარევთა“ სახით<sup>18</sup>.

ღამის განმავლობაში მიცვალებულს პირზე საცერი ედგა <sup>19</sup> რომელსაც ზევითან ჰურს დაადებდნენ. ხალხის რწმენით, ასესბოდა მიწის კატა — კატუნი, რომელიც, ვითომ ღამე ამონვრებოდა მიწიდან და მიცვალებულს ცხვირ-პირს მოჰკამდა. იგი აუსულად მიაჩნდათ და მისი ასებობა სწამდათ.

გარდაცვალების დღიდანეე ჭირისუფალი დაითალხებოდა. „სამ-გლოვირო იყო შავი ტანსაცმელი, თეთრი ლეჩაქი ბოლომდე შავ კაბაზე, პირაკრული უნდა ყოფილიყო, არ შაიხსნიდა ქალი. არშიას შემოსნიდა ლეჩაქზე, ჩიხტის აღარ დაიღვამდა, ეგრე იხურავდა ლეჩაქსა. ჭინჩისთავსაც მოიხსნიდა... გახსნილი პალტო უნდა ჩაეცვა ქალსა. ეგრე ამოკერილი გრძელი კაბა, გრძელი რუბაშვა. კაბა კოჭებამდე უნდა დასთრევდეს“ (ს. მდირი, ს. ფარნუკაშვილი, 1948).

17 სულ ყოველის შემძლეობასა და მათ როლზე ცოცხალთა სამუშაოები ცხოვანებაში მიუთითებს მრავალრიცხვოვანი მასალა შეკრებილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. იხ. ვ. ბარდავალი ე. ე. ქართული (სვანერი) გრაფიკული ხელოვნების აღმნიშვნი, თბ., 1958; თ. თბილი ურა ს. ხესეულული მთაბლური სიმღერა „ვერა-ჩი“. „მიმმხმლელი“, 1, 1953; დ. გიორგაძე დასახ. ნაშრომი.

18 მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისთვის, III, გვ. 85; დ. გიორგ გაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 44.

მამაკაცები წვერს გაიძარს უდინენ და მერე დაიყენებულენ, ზურ-ორტყამდნენ შავ ან ლურჯ ქმარს, თავზე შავ ხილაბანდს წაიკრავდნენ, ორმოცაინი წლებიდან იცოდნენ ხელზე შავი ბაფთის ტუშერებულ ძველად სცოდნიათ გულისპირზე შავი ქსოვილის აფრიცელში უცულ ვათარებაში სამკლოვაირო ტანსაცმელი შავი ფერის ქსოვილისაგან შეკვერილი უველლდღიური, ჩვეულებრივი ჩასაცმელია ქალთათვის. მამაკაცები კი დავრძალვის დღეებში შავი ფერისავე პერანგებს იცვამდენ და წვერს არ იპარსავენ.

ტველი მასალების მიხედვით ქართლში დასტურდება ჭირის უფალი-ჭალის მიერ თმის მოჭრის წესი. თმას შეიკრიდა ცოლი ქმარზე, დედა შეიღება. ზოგი მასალის მიხედვით მოჭრილ თმას სახლში შერთახდნენ, ზოგი მასალით კი მიუკვალებული თან კატუნდნენ; თუ ახალგაზრდა ქმარი მოუკვდებოდა, ბევრი შაიკრიდა თასა. ქმაზე თუ იკონაზე თმის შეკრა. დედას თუ ახალგაზრდა შეიღლი ზოუკვდებოდა და კაი თმები ჰქონდა, აღარ დაიყენებდა თმასა. ნაწინავს შაიკრიდა... მოჭრილ თმის ქმარს ჩატანდა ცოლი, თუ კაი თმა ჰქონდა გულზე დაყრიდა” (ს. ოძისი, 1948).

თმის მოჭრის წესი 50-იანი წლების მასალების მიხედვით ქართლში თოთქმის უკვე წაშლილი ჩანს. თუმცა, მისი აღრე არსებობის შესახებ აქა-იქ ცნობები მაინც არის შემონახული. აღრე კი ეს წესი საყველოთა უფორული გავრცელებული ამ რეგიონშიც. მსგავსი წესის არსებობა დადასტურებულია საქართველოს სხვადასხვა კუთხე-ებში<sup>19</sup>. თმის შეკრისა და გლოვის ნიშნად წვერის დაყენების წესს საგანგებოდ განიხილავს პროფ. ვ. ბადრაველიძე ნამრომში მოავალ-სულიანობის კონცეფციის შესახებ<sup>20</sup>. იგი ამ ჩვეულებას სწელობს ქართველთა უძეველესი რწევნა-წარმოდგენების კომბლექსში და აჩვენებს თუ როგორ აისახა ანიმისტური შეხედულებები კულტშე. რელი-გიის ისტორიიდან ცნობილია. თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა მარცებული ადამიანის ორგანიზმის პარციალურ სულებს და რა თვისებები მი-ეწერებოდათ მათ ადამიანის სიცოცხლისათვის. ისიც ცნობილია, რომ მორჩმუნეთა შეხედულებით მათ შესწევდათ უნარი გარკვეული ზემო-ქმედებისა როგორც მთელ ორგანიზმებს, რომლის ნაწილსაც წარმოადგენდნენ, ისე იმ გარემოებაზე, რომელიც ამ მოელთან იყო დაკავშირებული. ეს შეხედულება აისახა როგორც თმის მოჭრის წესში. ისე კლ-

19 თ. სახოცია, დასახ. ნაშრომი, გვ. 178; ს. მაკალათია, ფშევ, 1935; ხევსურეთი 1984, გვ. 198; თუშეთი, 1983, გვ. 178; მასალები საქართველოს კონ-გრაფისათვის, III, თბ., 1940, გვ. 98; ა. ჭანიძე, ქართული ხალხური მოელთა, I (ხევსურეთი), თბ., 1931, გვ. 19.

20 ვ. ბადრაველიძე, ქართველი ხალხის რელიგიური აზროვების ისტო-რიიდან (მზავალსულიანობის კონცეფცია). მასალები, საქართველოს კონგრაფი-ისათვის, ტ. IX, თბ., 1948.

ლიანი. მოამაგე ოჯახის უფროსის გარდაცვალების შემთხვევაში მის-  
თვის თმისა და ფრჩხილის მოკვეთის ჩვეულებაში. ეს წესი საყოვე-  
თოდ იყო გავრცელებული მთელ ქართლში. გამოსვენების წინ 22/  
ცვალებულს თუ იგი დავლათიან კაცად ითვლებოდა, ომანა და  
ფრჩხილს მოტრიდნენ, სუდარას ჩაახევდნენ, შიგ გამოკრავდნენ და  
რის თავზე, ან ქნელად მისაგნებ ადგილს შეინახავდნენ. ჩატბირი იდე-  
ლიანი კაცის ნაწილი უნდა დარჩენილიყო, რათა მისი ბარაქა არ და-  
კარგულიყო და ოჯახი არ გაღრიბებულიყო. ეს შეხედულება გარკვე-  
ულად პოულობს გამოძახილს წინაპრის კულტთან, რომელიც საქართ-  
ვილოს ბარში და კერძოდ ქართლში თითქმის წაშლილია.

სარტყერესოა რომ ამავე მიზნით ტოვებდნენ სახლში ნააშაგარი  
ხარის რეებასაც: „საქონელიცა, რომელიც ნამუშევარი იყო, კარგი სა-  
ქონელი — ხარი, მოკრიდნენ შუბლს რეებიანად და დედაბობის მიაკ-  
რავდნენ. ხარის რქას იმიტომ მიაკრავდნენ, რო დოვლათიანი ხარი  
იყო, ხააშაგარი და ოჯახიდან ნუ გავა დოვლათიონ“ (ცვა გელაშვილი,  
120 წლ. ს. ერედა, 1947 წ.).

იველად გამოსვენება, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუ-  
თხეებში, ქართლშიც მესამე დღეს იცოდნენ. ამ ხნის მანძილზე იჯახ  
თავზე ხარჯისთვისაც უნდა შორშადებულიყო. — პური გამოეცხოთ,  
სურსათი მოემარაგებინათ, მოკეთებისათვის შეეტყობინებინათ.

პურს ე. წ. პურის მცხობლები — მეზობელი ქალები აცხობდნენ,  
ცხებოდა პური და ლავაში. ჩავარდნილ კუტს ძალისათვის ინახვდ-  
ნენ. პოდესაც ცხობას მორჩებოდნენ, თონეში თითოეული მათგანი  
მცირე საემეველს ჩააგდებდა, ლვინოს ჩააქცევდა და მიცვალებულს  
შესანდობარს ეტყოდა.

ჟელად არსებული წესის მიხედვით, როდესაც სოფელში მიცვა-  
ლებული იყო, ცველა ვალდებული იყო საკუთარ საქმეზე ხელი იედო.  
ხვნა რომ ყოფილიყო „გუონებს გამოუშვებდნენ“, კალობის ფრის,  
კალოს ევრევე ტოვებდნენ. ზოგიერთ სოფელში დამარხევდე არ მუ-  
შაობდნენ, ზოგან კი შვიდ დღემდე არ გავიდოდნენ საქმეზე.

ნეცვალებულის დროს სოფელში მცხობის აკრძალვას დ. გიორ-  
გაძე მიცვალებულისა და მიწის კულტების მცირებო კავშირით ხსნის.  
გაძე წერს, რომ ჟელ მიწათმოქმედ ხალხებში მიცვალებულისადმი მსა-  
იგი წერს, რომ ჟელ მიწათმოქმედ ხალხებში მიცვალებულისადმი მსა-

თუშ-ფშავ-ხევსურეთში სოფელი არ ამუშავდება მიწას მიცვალებულის დასაფლავებამდე<sup>21</sup>.

მიცვალებულის დამარხვამდე სოფელში შარტო წიწის მარტინ კო არ იქმალებოდა, არამედ ყოველგვარი სამუშაო ქარჩეულებები, შეშის ჭრა, კარნაზულის მოზიდვა და ა. შ. ამ შემთხვევაში მცუცუდ მიწისა და მიცვალებულის კულტთა ურთიერთყველირ კი არ მოქმედებს. არამედ ასებითია სოფლის კრთიანობის პრინციპი, ურთიერთინგარიშგარევა და თანაგრძნობა, საერთო უბედურებად მიჩნევა ცალკეული მსახლის უბედურებისა. გამორიცხული არ არის, რომ ეს ჩვეულება მოდიოდეს სოფლის მონოგამურობიდან. ამ დროიდან, როცა სოფელი ერთგვაროვანი მოსახლეობისაგან შედგებოდა და უ ყოველი ოჯახის ჭირი, ყველას ჭირად ითვლებოდა. ამასთან ერთად ზნეობრივი პრინციპი — გაჭირვების ღრმის სხვის დახმარებისა და თანაგრძნობისა, ხალხის ხასიათში ზის, მის ბუნებაშია და შესაბამისად ქცევის ნორმაში ზოვებს გამოხატულებას. გარდა ამისა, როგორც არაერთი შეალით ვიცით<sup>22</sup>, მიცვალებულთა სულები თავიათ კეთილგავლენასა თუ მტრულ დამოკიდებულებას იმათ მიმართ ავლენენ, ვინც უშესალიდ მათი პატრონია, ვინც მოვალეა ხარჯები გადაუხადოს და სათანადოდ მოიგონოს თავისი მიცვალებული, ან მოიკლოს ამჭვევნიური ზრუნვა, რათა იგი იქ უზრუნველყოფილი იყოს. ასეთად კი ჭირისუფლის ოჯახი გვევლინება. ამ შემთხვევაში სოფელზე მათი გავლენა არ ვრცელდება.

ტირილი ქართლის სოფლებში იცოდნენ მოთქმით, ზარითა და ბანით. ზოგიერთ რევილში (ლიახვის სათვავები) მოთქმით ტირილი იციან. ზოგან კი ორივე სახის ტირილი დასტურდება, წილკნელი მთხრობლის გაში ლაშატრის ცრიბით, ტირილი ბანის თანხლებით სკოდნიათ: „ტირილი ზარით ვიცით, ბან გვაძლევენ, კაი მოტირალები არიან ზოგი... ბან გვაძლევენ და იმისთანა გუგუნი დგა! იციან კაი მოტირლის მოყვანა, ასაჩქერებენ, ან „ბლატოკ მოახვევენ, ან ფულად მისცემენ 10 თუმანსა“ (ს. წილკანი, 1948).

მოტირალის საგანგებოდ მოწვევის წესი დღეს ყველგან არ დასტურდება. მაგრამ მისი ასებობის შიმანიშნებელი ფაქტები, რომელიც ანალოგს პოლონებს საქართველოს სხვა რეგიონების საოანადო წესთან<sup>23</sup>, ქართლშიც იჩენს თავს.

21 დ. გიორგაძე, დასახ. ნაშრომი, თბ., 1976, გვ. 144.

22 ვ. ბართვავა ლორე, ლიფანილის მხატვრობა; ნ. მაკალათია; გ. ბალაზ რ. ხალხური მცდელობა ხევსურეთში (ხელნაშერი), ეთნოგრ. სექტორის მუნიციპალიტეტი; თ. თხილავ რ. ხ. ხევსურული მთიბლური სიმღერა, „გვრინი“, „მიმომზიდვი“, 1, 1953.

23 ვასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, III, გვ. 39; იქვე, მიცვალებულის ერთი სამეცნიეროში, გვ. 170.

აპ. წულაძის ცნობით გურიაში სცოდნიათ მოტირალის დაქიჩივებულის ქალები ქალის მაგივრად ტირებდნენ. აუგის კარი სის მაგივრად. ამაში ისინი გასამრჩელოს იღებდნენ. შემზევში ასეთ ტირილს ვე ქილო ბით ტირილის სახელწოდება მიუღისაფრთხეულის ვე ყოფილა გურიაში მოზარეთა მოწვევის წესი: „ზარის მშენებლების უკუმარესობა წარნება ვე მოზარეთა მოწვევის წესი: „ზარის მშენებლების უკუმარესობა წარნება ვე მოზარეთა მოწვევის წესი: ..

ზარის მასწავლებელს გასამრჩელოს აძლევდნენ უფრო ხშირად ნატურით, როგორიცაა მაგალითად ჩექმა, სიჩინდი, ჩოხა, ლომი, ლეინო ან 10—20 დღით ყანაში მოხმარება.... ზარით ტირილი ორივე ხერიდან იწვევდა ხარჯს; ზარის მომყვანს, მოზარებისა და დამამშვენებლებისათვის გასამრჩელო უნდა მიეცა. თუ პირდაპირ გასამრჩელოს არ აძლევდა, ივალებდა მაინც. სამაგივროდ პატივისცემა რითმიე უნდა გადაეხადა. გარდა ამისა, კარგი, სანაქებო სადილი უნდა მიერთმიათ. ნამდვილი ტირილი ლობითოთი იყო ან თევზით, ზარით წამსვლელი თავის: „საპატიო ამალას“ ქორწილის შესაფერი სუფრით უმასპინძლდებოდა — ზოგჯერ საკლავიც კი იყო საჭირო<sup>24</sup>. როგორც ვნედავთ. აქ მოზარეთა საგანგებო წვრთნა და სწორებაც ხდებოდა, რომლებიც შემდეგ პროფესიონალ მოზარებად გამოღიოდნენ და პატიოსნებდნენ ვისიც გრძნდა მიცვალებულს, თუკი მიიწვევდნენ, ხოლო მიწვევა გარკვეულ ანაზღაურებას გულისხმობდა. აღმოსავლეთ საქართველოში ყველაზე სრულად საგანგებო მოტირალთა არსებობა ხევსურეთში შემოინახა ხმით მოტირალს სახით, რომელსაც ეძლეოთა „სახმით მატირლო ქადა“, ზოგჯერ ერთი თავი ყველიც.

ქართლში ჩაწერილი ტირილის ტექსტის ნიმუშია:

„დედი, დედი, გრძევალე დედი,

ჰაი, დედი.

არ გეგონოს უვაუიშვილო შენი თვი

ჰაი, დედიან.

<sup>24</sup> აპ. წ. ტ. ლ. ა. ა. კ. ეთნოგრაფიული გურია, თბ., 1971, გვ. 213.

<sup>25</sup> ივე, გვ. 160—161.

დედი, დედი, მამანებთან ნუ მიხვალ,  
გვიპოტე, დედი.  
გვიპოტე რო ობლებ თავი დაგანებებინა  
აი, დედი, და სხვ.



ეროვნული  
ცენტრალური

გენერაციული ცენტრ

ეს მოთქმით ტირილის ტექსტია. თანამედროვე ყოფილი მოთქმით დასტირან მიცვა-  
ლებულს.

რაი ტირილზეა საუბარი, ეჯე შევეხებით მიცვალებულის ტან-  
საცმელზე დატირების წესსაც.

ჩეკვამდე მოღწეული მასალების მიხედვით ქართლში თითქმის არ  
დასტურდება მიცვალებულის ტანსაცმელზე დატირების ჩვეულება,  
რომელიც შემოინახა აღმოსავლეთ საქართველოს მთამ. როგორც ცნო-  
ბილია<sup>26</sup>, გარდაცვლილის ტანისამოსი, პირადი ნივთები, იარაღი თუ სა-  
ხელსაქმო ინვენტარი მიცვალებულისა გაშლილია საფუნზე (ფლა-  
სი, ფარდავი, ხალიჩა) და ერთი წლის მანძილზე მკვდრის გახსე-  
ნების დღეებში მასზე დატირება ხდება.

მიუხედავად იმისა, რომ დღვევანდველ ვითარებაში ქართლში ეს  
წესი საყოველთაოდ აღარ მოწმდება<sup>27</sup>, მიანიშნებს იმაზე, რომ არცთუ  
სე შორეულ წარსულში ტანისამოსზე დატირება ქართლშიც უნდა  
სცოდნოდათ, ამის ადასტურებს თეომურაზ მეორის „დღისა და ღამის  
გაბასება“. ტექსტში ვკითხულობთ:

„ვით პლეირობს ქრისტიანეთა, დამარხვენ მიცვალებულსა,

ზარით დაცუნენ ნიშანსა; საღამოს დაბინდებულსა,  
პირველად მცდლშაქერი მზას იქმენ ქვეშ-დაგებულსა,

ქალის ახალუხს ჩასდებენ. მასთანვე უნდა ქმრისანი,  
ექ დასხდენ შეღოშაქერი გამშლელი იყნენ თმისანი.

ღრმზე გაშლიან ნიშანსა, ქათიბისა და მერე ტყავესა,  
ორი ყული ცოცხალსავთ განკრძალვითა აღნენ თვესა,  
ოქტოს ხელსა დაუღებენ ქათიბისა მარცხნივ მხარსა,  
დააფრენ ტანისამოსს, ნაცვამია კაცის ტანია<sup>28</sup>.

იმავე ტექსტიდან ვგებულობთ, რომ მიცვალებულის ტანისამოსის გა-  
შლა და მასზე ტირილი მკვდრის მოსაგონარ სხვა დღეებშიც სცოდნიათ:

26 ს. მაკელითი, „ჭევასურუთი“, თბ., 1984; გვ. 203, „ლშავე“, 1935, გვ.  
180; მასალები საქართველოს ცონგრაფიისთვის, ტ. III, 1940, გვ. 16—17.

27 ტანისამოსზე დატირების წესი მთინ ქართლშიც დამოწმებული (ს. ალექ.,  
წირქული) საღაც ფარლავში შეხერილი გარდაცვლილის ტანსაცმელი 1 წლამდე ქვი-  
ნით შენახული მკვდრის მოსაგონარ დღეებში გამოშექრდათ და ტირილენ.

28 თეომურაზ მეორი, „დღისა და ღამის გაბასება“, „ჩვენი საუნგვ“, ტ. 5.  
აბ., 1960, გვ. 337.

„თხუთშეტამდინა ლამითა იტირონ ნიშანშედაო“...  
კაილევ ნიშანსა დამფუნენ, კალვ ტირან ორმოცხვდაო<sup>29</sup>.

მართალია, იქ ქართლის მეფეთა და დიდებულთა დღიურის საუბარი, მაგრამ თავისთვად ამ ჩვეულების არსებობა ეხმაურება დღე-განდღამდე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში შემრწყელებულ უკალებულის ტანისამოსზე დატირების ტრადიციას.

ეფიქრობთ, ამავე ტრადიციის არსებობის მიმანიშნებელი უნდა იყოს გულდენშტედტის მიერ დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ხონში ნანახი მიცვალებულის დატირების წესი: სადაც მიცვალებული ესვენა, იმის „წინა ოთახში საწოლის გადასაფარებელზე იჯო ქვრივის ჭურქი და სარტყელი, მიცვალებულის იარაღი...“

მნახველები ჯგუფ-ჯგუფად შეპყვდათ მიცვალებულთან, რასაც პათი სამეცნიერო სიმღერის საოქმელად. ქალთა მოთქმის აყოლებით, სკირდებოდა 15 წუთი. ორა ნაკლები ხანი სკირდებოდა იგივეს გამეორებას ან გაგრძელებას იარაღთან და ჩასაცმელთან წინა ოთახში<sup>30</sup>.

საყურადღებოა, რომ თეომურახთან მოხსენიებული ტერმინი „ნაშანი“ მიცვალებულის ტანისაცმლისა და საგნების ალბანიშნავად, ცოცხალია ქართლელთა თანამედროვე მეტყველებაში და ეწოდება მიცვალებულის ნაჯონ ტანისაცმლის რაიმე ელემენტს, რომელსაც კირისუფალი ინახავს და სურვილისამებრ მასზე ფარულად დაიტირებს ხოლმე თავის მიცვალებულს.

იგივე ტერმინი გარდაცვლილის სატირლად გაშლილი ტანისამოსის ალბანიშნავად სამეცნიეროშიც სცოლიათ: „ნათესავები რაც უნდა შეორს სცხოვრობდნენ, თავის გარდაცვლილ ნათესავის ტირილში უიპველად უნდა დაესწრნენ. ვინც ამა თუ იმ მიზეზით ტირილის დღეს ვერ მოვა, ტირილის შემდეგ მოვა და იტირებს მიცვალებულის ნიშანზე. ამისათვის მიცვალებულის დარჩენილ ტანისამოსს ტახტზე გაშლიან და ისე სტირიან, თითქოს ნამდვილი მიცვალებული ესვენით წინა. ამასა ჰქვიან ნიშანი — საგანი ანუ მაჩვენებელი და მოსაგონარი მიცვალებულისა“<sup>31</sup>.

ტანისაცმლის გაშლისა და მასზე დატირების ჩვეულება თ. სახოკიას ღლწერილობითვე ჩანს ე. წ. „ზედ დაკვლის“ წესშიც, რომელიც დიდ-კაცების პატივსაცემად გარდაცვალების მეორმოცე დღეს იმართებოდა. მიცვალებულისათვის აკეთებდნენ რამდენსამე სეფას: „ერთ სეფაში გაშლიდნენ მიცვალებულის ნიშანს, მეორეში დააყენებდნენ მის

29 თე იმუ რაზ მეორე, იქვე, გვ. 338.

30 გულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, თბ., 1962, გვ. 151—153.

31 თ. სახოკია, მიცვალებულის კულტი სამეცნიეროში: მცნ. III, გვ. 172.

2. თ. ოქტომბრი

უნაგირიან ცხენს, მესამეში მისი სანადირო ძალლები ეჭირათ ხელში, უკანასკნელში მისი სანადირო ქორები და მიმინოები...”<sup>32</sup>.

აქედაც, როგორც ვხედავთ, მიცვალებულის ტანისამოსი იშლება, სადაც წელზემოთ გაშიშვლებული მამაკაცები „მრუტირებულენის“ უშისაული ლებულს.

ჩვენი მასალების მიხედვით, ქართლში მიცვალებულის დამარხვა კუბოთი სცოდნიათ, მაგრამ, როგორც ჩანს, კუბო გვიან შემოსულა. თავდაპირველად მიცვალებული უკუბოოდ იმარხებოდა.

კურთას შესახებ აპ. წულაძე წერს: „წწინ კუბო არ სცოდნიათ, ხმარობდნენ „ჯალამბერს“. ჯალამბერი საჭაცეს მსგავსი სცოდნიათ (ორი მსხვილი 4—5-არშინიანი ჯონი გაბანტული ტყეური მიწის სუროთი ვენანიან „წირეხეით“ — ლელოჭით), ტახგაბანილ მიცვალებულს მთლიანად შესუდრულს (ვისაც შეძლება ჰქონდა სუდარას გასანთლავდა, წმინდა სანთელში ამოავლებდა და ამ „გალიყულ“ სუდარაში შეახვევდა სრულიად უტანისამოსოდ) და დაასცენებდნენ ზედ, საფლავში ხელით ჩაასვენებდნენ. ჯალამბერის მაბსოვანი აბლაც არიან.

ჯალამბერი შესცვალა უთავო კუბოს მსგავსში ყუთია. უბრალო ფიცრიდან შეკერილმა. ამაშიაც შესუდრულ მიცვალებულს ჩაასვენებდნენ. საფლავთან ამოიღებდნენ და მიცვალებულს საფლავში ჩაასვენებდნენ. კუბო-ყუთი იქვე რჩებოდა. შეიძლებოდა სხვასაც ესარგებლა... ასეთი კუბო-ყუთის მომსწრე მეც ვარ. შემდეგ შემოიღეს კუბო. მაგრამ პირველ ხანებში ბევრი მორწმუნე თავის მიცვალებულს კუბოდან იღებდა და უკუბოოდ მარხავდა“. შემდეგ აპ. წულაძეს ოლწერილი აქეს კუბოს დამზადების თავდაპირველი და შემდეგში დაცვიდრებული წესი.

უკუბოოდ დაკრძალვის ჩვეულება საყოველთაოდ ყოფილა კავკაციულებული მთელს საქართველოში. ეს წესი ხევსურეთში 30-იან წლიდამდე შემოინახა.

### მისამართი და დაკრძალვა

დველად, საქართველოში გამოსვენება საყოველთაოდ მესამე დღეს იცოდნენ. მიცვალებულს არ კრძალავდნენ ითხშაბათობითა და პარასკეობით, რადგან ეს დღეები ქრისტიანული სარწმუნოების თანახმად. მარხვად ითვლებოდა. ასეთი დღე თუ შეუხვდებოდათ ან გადაცილებდნენ, ას აღრე დამარხავდნენ. შეიძლება იმ დღეს საკლავი არ დაკრლათ. სამარხვოდ დამარხათ, მაგრამ შემდეგ კი აუცილებლად დაკლავდნენ საკლავს.

32 თ. სახოთი. მიცვალებულის დღის სამეგრელოში, მსე, III, გვ. 172.

გამოსვენება ცოდნენ შუალის შემდეგ. მხე რომ გადაიხრებოდა, მიცვალებულს თმასა და ფრჩხილს მოაჭრიდნენ. ორი ქვრივი და კაცი კუბოს აქეთ-იქიდან ამოუღებოდა და საგანგებოდ გამომტკიცა ე.წ. შპცდრის პურს მიცვალებულის გულზე ოთხად გადატესტიფიციზმული პურის ნატეხებს ან ბოლოიშონთვის გამოიყენებდნენ (ლატშიშურიშოუეა ბობინები) ან ძალუბს გადაუგდებდნენ, რაც იშვიათად ხდებოდა. ჩვეულებრივ, მიცვალებულის პირზე ნაფარებ საცერეს რომ იდო, ძალის იმ პურს უგდებდნენ. ძალლისთვის პურის გადაგდების წესს ადგილობრივი შემდევნარიად სხინან: 1. ხირქოს შესასვლელ კარებში ზიცვალებულს ორი ძალლი დახვდება და თუ ზემოსხენებული წესი არ შეუსრულებიათ, საიქონში არ უშევებენ. 2. ძალლისთვის პურის გადაგდება საიქიოს მადლად ეთვლებათ („საიქიოს თურმე ერთი დედაკაცი ისეთია, რო ქვეყანზე არაფერი გაცემულობა არა აქვა“. აქ საქართვის ერთი ძუკნია ძალლისთვინ კუტი გადაუგდია. საიქიოს ის ძალლი მისულა. კუტი მიუტანია და იმით დაუხსნია ის ქალი“). 3. ძალლისთვის პურის გადაგდება დაიხსნის ამ პირს არასასურველი მიცვალებულის სიზმარში ნახეისაგან („თუ სიზმარში სხვისასა ხედავს და ფინაზადა აქვს დაცდილი, ზარალი იცის, — კუტი შენდობას ეტყვეს და ძალლს გადაუგდებს. მერე თავის დღეში ვეღარა ნახამს იმასა“, ძალლს „კუტსაც გადაუგდებდნენ. თუ ნახე სიზმარში მკვდარიოდა აღარ გეშვებაო. ძალლს კუტი გადაუგდეო და უზხარიო — ის ეს კუტიოდა და სიზმარში ნულარ მეჩვენებიო, მომეშვიო“ (ს. ქსოვრის, 1948 წ. სოფიო მახარაშვილი, 50 წლ.).

ზიცვალებულის კულტში ძალლიან დაკავშირებული წეს-ჩეველაბები და წარმოდგენები შემთხვევითი არ უნდა იყოს. საქმე ისაა. რომ ამ შინაური ცხვველის შესახებ ქართლში სანტერესო გაღმოცემები დასტურდება. იგი ხალხისათვის პურის მომპოვებლად და სხვა სიკეთის მომტანად გვევლინება. „უფრო წინათ, — ვკიამბობს მთხრობელი, — ჩამოყრიან თურმე ცოდან ქადას. ნაშუქ და ხალხი იმასა ჭამს. ერთ ქალს პურით ბავშვი გაუშენდია (გასვრილა ბავშვი). გამწყრილა ღმერთი და პური აღარ ჩამოუყრია ზევიდან — თვითონ მოხნანო. ღმერთს ჩამევლო და ეთქვა — ერთი კვალი მოხანი და ეკუთვაო. მერე ის რო წავიდა. გუთნისდედამ თქვა — ერთსაც მოვხნავ და მეორესავაო. ბევრი მოხნა. გამოევლო იქსო ქრისტეს უკან და ეთქვა: ხანით, თესეთ და ვერ გაძეხიოთ.

პირველი სამი კვალი რომ მოეხნა, და დაეფარცხა, ძირიდან ესხა თვითავე. მეორე დღეს რო ბევრი მოხნა, იმაზე გაწყრი ღმერთი, დაუსვა ამ თავოავს ხელი და სხეპამს. რო ატანა თავიმდე, ძალმა შაყეფა. რო ჩემი ლუკმა მაინც დატოვეთ. იმისათვი გაუშვა. ეხლა რო თვითავი მარტო წვერშია, იმიტო არი“ (მიხ. დუშაშვილი, ს. ახმახი, 1949 წ.).

შეორე თქმულების მიხედვით: „უწინდელი ხალხი რეგვენა / კუო-  
დინარები ყოფილან; თურმე რო ცეცხლს დაანთებდნენ, აშლო / აპხ-  
ბი უდგიათ ტალახიანი. სცხელათ, — ისხამენ ზედა და ისომენ მა ტა-  
ლახს. თურმე ერთი ფინია, დასცხება უკან წავა. შასუჯარენ ტელტე-  
დის. პატარძალს უთქვია — ეს რათა შვრებიო. მერე ბჟადალის მუსკეტე  
უქნიათ. მაღლა და პატარძალს ჩაუგდიათ ხალხი ვონებაში.

კა რო მაღლა წასულა და ლავაში აღარ ჩამოდიოდა, ხალხი დამ-  
შეულა. აღარ იციან პურის სახელი. უნდა უთხრან მეუფესა და აღარ  
იციან როგორა სთხოვონ. არ იციან როგორ დასთხოსონ. ძარე ჭარულან  
და ლეკვს უთქვია — ამათ პური უნდათო“. გადმოცემაში საუბარია  
იგრეთვე საქმეში გველის ჩარევის შესახებ: იგი კაცს ჩაგრძეს, თუ  
რა უნდა სთხოვოს მეუფეს, რის შედეგადაც მეუფეს უბრძანებია: „წაი-  
ლეთ პურიო, მოთხესოთ. ხის ფარცხით მოფარცხეთო და ვინც რქვენ  
ეს გოთხრთო. ის წაიქცესო და დედამიწა ლოკოსო“ (ს. ცრელა. ევა გი-  
ლიაშვილი, 120 წლ. 1947 წ.).

თუ გვითვალისწინებთ ქართულ მითოლოგიასა და კულტის მაღლ-  
ზე არსებულ რწმენა-წარმოდგენებს, განათხარ მასალებსა და მატე-  
რიალური კულტურის ძეგლებზე წარმოდგენილ გამოსახულებებს<sup>33</sup>,  
გამაგები გახდება. თუ რატომ აისხა ქართლში კულტსა თუ უქმულე-  
ბა-გადმოცემებში ძალი. თავის მხრივ, საერთო ქართულ წარმოდგე-  
ნათა წრეში ექცევა მიცვალებულის კულტში არსებული შეხელული-  
ბები და ჩვეულებები მაღლთან დაკავშირებით.

მიცვალებულის გამოსვენების დროს კარ-ფანგრებს დაკეტავდნენ,  
კუბოს ასწევთნენ ახლობლები — ბიძაშვილები, ტოლ-ამხანაგება. და-  
ხურულ კარებს სამჯერ მიაგახებდნენ და გარეთ გამოიტანდნენ. თუ  
სიყრძისშვილი მოუკვდებოდათ. მას ფანგრიდან გამოსვენებდნენ —  
კარიდან არავინ გაიყოლოსო, გამოსვენების დროს მთელი ხალხი ჭულ-  
მოხდილი. ხავინძებახსნლი და თავდახრილი უნდა მდგარიყო. კუბოს  
ეზოს, გარეთ დასვენებდნენ. საგანგებოდ შინ შეტანილ ქვას გარეთ  
გამოაგორებდნენ სიტყვებით: შენი ფეხი მძიმე იყოსო, სახლს გამით  
წყალს მოასხამდნენ. გამოსვენების დროს თუ სოფელში აკვნის ბავშვე-  
ბი იყვნენ. ყველას წამოაყენებდნენ (მძინარეს აკვნიანად) — არ დაი-  
ლახონ. ისიც იცოდნენ, რომ ძუძუთა ბავშვის მიცვალებულს პელზე  
შეაყენებდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში შიშობდნენ — ბავშვი და-  
ილანებათ. — ფეხს ვერ აიდგამს, დუნე და უძალო იქნებათ. დაჭაბ-

33 ძალის კულტის გვლის ტოტებიდან მომღინარეობის შესახებ საგანგებო გა-  
მოკვლევა ვ. ბარდიველის ეკუთვნის. საღალ მას მრავალ მასალას საფუძველზე შეს-  
წავლილი იქნა ეს საერთო. ა. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные  
представления и обрядовое графическое искусство грузинских племен, 1957,  
с. 37—53.

ვის მიზეზის გამოსაცნობად სხვადასხვა მაგიურ-რელიგიურ წესებს მიმართავდნენ (ფოლების დახვევა, წყლიან ჯამში გამდნარი სამოსოს ჩასტმა და სხვ.). თუ მკედრისგან დალახვა გამოუვიდოდა, საოლავე დააყენებდნენ სამ კვირაძალშე, ზოგი საფლავიდან მიწურულულა წყალში გაქნიდა და ბავშვს შიგ აბანავებდა — აქამდენ ჟაჟულებულება ეხლა შენ დალახეო, დალახული ბავშვის სამკურნალოდ სხვა საშუალებებსაც მიმართავდნენ: 1. თუ მეოვეური ქალებიდან ერთ-ერთის ბავშვი დაილახებოდა, დედები ბავშვებს გაცვლიდნენ და ჭვარელი გზაზე მოაწოვებდნენ.

2. შვიდი კომლიდან შეგროვილ სანთელს გააღნობდნენ, კვირის-ტავიდან წყლიან ჯამში ჩასხამდნენ და რაც გამოისახებოდა, ჭვარელი გზაზე დამარხავდნენ, ზედ კი დალახულს სამ კვირაძალშე დააყენებდნენ.

3. გადაჯვარედინებულ ტაბიკებს დალახული ბავშვის პერანგს ჩააცმევდნენ და საბაზე დადებდნენ. შემდეგ ზედ ბავშვს შეაყენებდნენ და მ მოქმედებას სამ კვირაძალშე გაიმეორებდნენ.

4. კოვზებს წაილებდნენ და ბანიან სახლს სამგერ შემოატარებდნენ. შემდეგ ერდოზან ბავშვს სამგერ ჩააყრევინებდნენ 7 კოვს. კოვსები ძირს რომ ცეიოდა, დაილახებოდა. ბავშვი კი გამოგანმრთელდებოდა.

5. ბავშვს მისი წორცს გამოუწონიდნენ, ჭვარელი გზაზე დამარხავდნენ და დალახულს სამ კვირაძალშე ზედ შეაყენებდნენ.

6. ბებია დალახულ ბავშვს სამ კვირაძალშე პერანგის უბილან ამოიტრენდა. ზედ დაიყენებდა და ეტყოდა — წამლად გაგიხდესო. თუ ჩემგანა ხარ ფეხზე დადექიო, თუ აქამდე მე დაგლახე, ეხლა შენ დამლახეო.

7. ბავშვს „ტაშტში“ ჩააწვენდნენ, აქეო-ექით ტაბიკებს მოუწევენდნენ და გაბანდნენ — როგორც ეს ტაბიკებია გაშვეტილი ეს ბავშვიც ისე აღგესო.

8. ბავშვს დაწვენდნენ როგორც ჭვარი, ფეხებზე, თავზე, ტანზე, მკლავებზე ბამბას დაადებდნენ.

ბავშვის დალახვისა და მისი მკურნალობის შემთხვევაში ძირითადად შეგიური ხასიათის მოქმედებებთან გვაქვს საქმე. გასევების დროს ბავშვის ფეხზე წამოყენება ინ აკვინიანად წამოყენება, სიმპათიური მაგიის საფუძველზე იხსნება: მისი წოლა და ძილი მიმსგავსებული უნდა ყოფილიყო მიცვალებულთან. რომ ამ მსგავსებას ნამდვილი შედეგი არ გამოეწვია, იგი ფეხზე უნდა აეყენებინათ. ამავე საფუძველზე უნდა აიხსნას მიცვალებულისათვის ბავშვის გულზე შეყენებისა და გამოსვენების, ღროს მთელი ხალხის ფეხზე ადგომის წესიც. რაც გვიანი ხანისათვის ზნეობის ნორმად არის ქცეული. მაგიის პრინციპი უდევს დალახულის მორჩენის მიზნით გზაჯვარედინზე ჩატარებულ მოქმედე-

ბეჭსაც — ხორცის დამარხვას, გადაწვარედინებული ტაბიკების მიწაში ჩაფვლას და ა. შ.

მიცვალებულის გამოსვენების დროს კარებისთვის კუჭოს გრძელების წესი წესი, რომელიც საქართველოს სხვა რეგიონებშიც ჩატარდებოდა. გ. ნიორაძეს დაკავშირებული აქვს მიცვალებულის მწინამდებარებული შესახებ შინაგანი მიცვალებულის გამოსვენება საგანგებოდ გახსნილი კედლიდან, ფანჯრიდან. ლობის გარღვევა და იქიდან გატანა, ხის მოჭრა ეზოში და სხვა. ამ შემთხვევებში ამოსავალია მიცვალებულის წინაშე კრძალვა და შიში. ზომების მილება იმისათვის, რომ მიცვალებულის სულს გზა აურიონ, შესაძლებლობა არ მისცენ უკან დაბრუნებისა. ასეთივე რიგის ამბებს უნდა უკავშირდებოდეს მიცვალებულის გასვენების დროს სახლისაკენ მოხელვის აკრძალვა და სასაფლაოდან სხვა გზით დაბრუნება მიცვალებულის სახლში.

ცხედარს ყველა გაპყვებოდა. გარდა მკედრის ხარჯისათვის სუფრის გამშელელი პირებისა. მას სასაფლაომდე როგორც წესი, სამჯერ დაასვენებდნენ თუ სასაფლაო შორს იყო, თუ არა, ერთხელ დასვენება აუცილებელი იყო. წინათ ქალები მიცვალებულს საფლავმდე არ მიჰყვებოდნენ<sup>34</sup> შეა გრძიდან უკან მობრუნდებოდნენ. მოგვიანებით კი ეს წესი წიმისათვის.

სასაფლაო ჩვეულებრივ ეკლესისთვის იყო. ქართლში კი ძირითადად ლეთისმშობლის ტაძრის მიდამოებში. თუ მთის ვითარებას გავითვალისწინებთ, რომ სამლოცველოს მიდამოებში ქალს მისვლა ეკრძალებოდა. იქნებ ქალთა სასაფლაოზე მიუსვლელობაც. ადრე არსებული ამგეგმვე წესის არსებობის მიმანიშნებელი იყოს. რაც გვიან, ქართლში საესებით წაშლილია.

სასაფლაოზე მიცვალებულს თან გააყოლებდნენ სანოვავეს და სასმელს. რომელიც იქვე უნდა დახარჯულოყო. ნაწილს კი ცხედარს თან ჩაყოლებდნენ რასაც ს უ ლ ი ს ს ა გ ზ ა ლ ს უწოდებდნენ. სულის საგზლის გატანება მიცვალებულისათვის საქართველოს ყოველ კუთხეშია დაწესებული<sup>35</sup>. ქართლში მიცვალებულს ატანდნენ ლეინიან დოქს. წყლიან ბოთლს, ხილს.

რკინის ნივთის ჩაყოლება აკრძალული იყო. მთხრობელთა გადმოცემით, ვისაც რკინის რაომე ჩაპყებოდა, მანენ დაეპარიონდებოდა. რკინისადმი ასეთი დამოკიდებულება საქართველოს სხვა რეგიონებშიც დასტურდება. ხეესურეტში არსებული ამ წესის შესახებ გ. ჩი-

<sup>34</sup> სანტერქისო სულის საგზლად გასატანებელი საგნება სამეცნიეროში. აქ გარდა კრისისუფლი ქალის მიერ მოჭრილი და მიცვალებულისათვის ჩაყოლებული ნაწარებისა, ატანდნენ: ხელადით ლეინის, ფულა არაყს, თუთუნით სავსე ქასა, ტალკევსა და აბცდს... ძეჭრთა ბავშვს... შუშეთ ჩამს“, თ. ს ა ხ კ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 170.

ტარა წერს „ეს საგულისხმო ჩვეულება სხვა შემხვედრ მოვლენების სატუკელზე უცველესი წეს-ჩვეულება ჩანს. ამიტომ მას ენდევბა და და/ მნიშვნელობა სამარხების ზუსტიდ დათარილების საქმეში. მაგალითად/ ისტორიკოს-არქეოლოგები იმის მიხედვით, რომ სამარხეში მომდევნობის ნივთები არ მოიპოვება, ხშირად ასკენიან რკინის ნივთების ფუქსისტურების ბის გვიან თარიღს. სინამდვილეში კი შეიძლება ზემო მოყვანილი წეს-ჩვეულებით იხსნას და არა რკინის კულტურის შემოღების გვიანი თარიღით. როგორც მოვგხესენებათ, ამ გარემოებას არა მცირდი მნიშვნელობა იქნა კულტურის ისტორიის საკითხების კვლევისათვის“<sup>35</sup>.

მიცვალებულს გაჭრილის სამარისპირას დაასვენებდნენ. ჭირისუფლები იტირებდნენ და გამოეთხოვებოდნენ. პირველ მიწასაც იხინი მიაყრობნენ. როგორც უკვე ითქვა, სასაფლაოდან ხალხი სხვა გზით დაბრუნდებოდა. ოჯახში დაბრუნებულები ხელ-პირს დაიბანდნენ — ცრემლს სახლში არ შეიტანდნენ, დამხვდურები კი სათითაოდ თითო კუჭი ბოლოიშოს (ლვითოში ჩამაბალი ცური) შეაქმევდნენ და შემდგა სუფრასთან მიივევდნენ.

ბენებრივი სიკედილით გარდაცვლილისაგან განსხვავებით, საგან-გებო წესები სრულდებოდა არაბუნებრივი სიკედილით დალუპულის მიმღებო. თუ ვინმეტავს მოიკლავდა, წყალში დახტერჩობოდა, ზეავი და-იტანდა და ა. შ. სხეროვათ, რომ მისი სული ეშვაებს რჩებოდა. ამიტომ საგანგებო რიტუალის შესრულებით ცდილობდნენ მიცვალებულის სულის ვამბისნას. სულის გამოხსნის ჩვეულება მთელ საქართველოში რიტუალის მიზანი ერთია. — ადამიანის სულის სანაცვლოდ ეშვაებს ცხოველის სული მისცენ, გაანთავისუფლონ მისგან თვისი მიუვალებული ზუღა ზამთა-პაპის საფლავ-სამარეს მიაბარონ. ქართლში ეს ჩვეულება დღეში ცოცხალია: თავ-ჩამომხრჩიალის, წყალში დაღუპულის და ა. შ. სულის გამოსახსნელად იმ აღგილს სადაც ეს უბედური შემთხვევა მოხსა. მიჰყავთ შევი ფერის ფხა და კლავენ. ზოგ სოფელში და-ვა მოხსა. მიჰყავთ შევი ფერის ფხა და კლავენ. ზოგან წყალში აგდებენ, ზოგან უკოვათ ახრჩობენ და იქვე ტოვებენ. ზოგან წყალში აგდებენ, ზოგან ას-ა-თ ჭრიან და ხელუკულება ყრიან, ზოგან მხოლოდ თავს აგდებენ წყალში, ზოგან მხოლოდ სისხლს უშებენ წყალში და ხორცს ხალხს.

35 ვ. ჩატარა, წინასიტყვობა, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, III, გვ. 9.

36 თავის უფალ სკანი, სკანების სიტომ, „ევროა“ 1888, № 116—118; გაასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, III, გვ. 53—54; გ. ჩართოლიანი, 1961, გვ. 166—167. ქართული ხალხური მატერიალური კულტურის ისტორიიდან, 1961, გვ. 166—167. სულის გამოხსნის ჩვეულება აუხანქოში აღწერილი აქვთ ნ. განა მიას, ოლონც უკან გამოხსნის ჩვეულება აუხანქოში აღწერილი აქვთ ნ. განა მიას, ოლონც გადას გამოხსნის ჩვეულებით, რომ იქ ასრულებდნენ სულის ზოგისა და მისი სამაფლოსზე გადა- უკან გამოხსნის ჩვეულება. რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს სათანადო რიტუალისაგან განსხვავდება.

აუმევენ. თხის დაკვლას და გადაყრას ახლავს სიტყვები — სულშე სულს გაძლევთ, ხორცი ხორცი გაძლევთ (ეშმაქს ეუბნებიან), დასტანი ღმერთოო — ღმერთს ეველრებიან.

ეშმაქისთვის დაკლული თხის ხორცის ჭამის ერთდღისწილებია — კულტურული კებს უკლავენ და რომ შეედავოსო? ერთ-ერთი მთხოვნეული ყველა ბობს. თუ ორგორ დაენანთ დაკლული თხის გადაგდება და სახლში წაიღის პატრონებმა. ღმერთი ძილში მიცვალებული გამოეცხადა — რა-ტომ დაგენანთ ჩემთვის. ჯერაც ისევ წყალში ვძანაობო.

სულს გამოხსნის შემდეგ მიცვალებულს ყველა იმ წესებს უსრულებენ. რაც ჩვეულებრივ გარდაცვლილს.

სულის გამოხსახელად თხის დაკვლას მთხოვნელები იმით ხსნიან, რომ თხა ღვთისგან ნაკურთხი არ არის, საღვთოში არ ურევია. საფვთო ცხოველებად ცხეარი, ძროხა, ხარი, მოზვერი ითვლებათ (ოლღა (ულა) აზარაშვილი, 84 წ. ს. ღოთუბანი, 24. IV. 1984 წ.).

ჩვეულებრივ, [სასაფლაოზე არ მარხავდნენ პატარა, მოუნათლავ ბავშვებს.] მას საკუთარ სახლოთან ბაზაში ასაფლავებდნენ.

ვიდრე მიცვალებულის ხარგებს შევეხებოდეთ, აქვე მოვახსენიებთ დამარხვის ერთ წესს, კერძოდ „საფლავის მოზომვას“. საფლავის მოზომვაზე მ. ბალიაურისა და ნ. მაკალათის მასალებში ვკითხულოთ: „იმ პირთ, რომელიც თავის სამშობლოდან წასული იყვნენ და შორეულ კუთხეებში მიიცვალნენ, ხევსურები აუცილებლად თავის მიწა-წყალზე მოიტანდნენ. ყოველგვარი სიძნელისა და დიდი ხარგის მიუხედავად. მაგრამ იმ შემთხვევაში. როცა მიცვალებულს ვერ იძოვნიდნენ: წყალში დამხვრჩხვალს. ან უცხო ქალაქში. ან ომში მოკლულს და რომელსაც ვერ მოასვენებდნენ თავის სამშობლოში, ასეთ მიცვალეულს თავით სასაფლაოზე საფლავს მოუზომავდნენ“.

ეს ასე ხდებოდა: არაუს გამოხდიდნენ, სახელსადებებს ვამოაკხმდონენ. ზოგს გულიანს, ზოგს უგულოს, ტაბლას დასლგამდნენ. არაუს, ტაბლას და მიცვალებულის „ტალავარს“ წაიღებდნენ სასაფლაოზე. თან ხალხსაც წიყვანდნენ, იქ ოთხუთხედად მიწის მოზომვადნენ, არ ამოხხრიდნენ. ისე შემოხაზავდნენ ბარით ან თოხით. ტაბლას დასლგამდნენ და ტალავარს დააწყობდნენ მოზომილ მიწაზე და დალოცავდნენ, დალოცავდა სულის ხუცესი. მის შემდეგ მიცვალებულს თავის საფლავ-სამარეში წილი ედვა. თუ მიწას არ მოუზომავდნენ. საფლავ-სამარეში წილუდები იყო და ეს ოჯახისათვის დიდ უბედურებად ითვლებოდა<sup>37</sup>.

საფლავის მოზომვის ზემოთ აღწერილი წესი ქართლის ზოგიერთ რეგიონშიც დასტურდება.

37 მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, III, გვ. 54.

„როცა შინ მოუსელელი მოკვდებოდა, საფლავს მოუზომავდნენ. აქ იმის ტანისამოსს დამარხავდნენ, სურათს გააეთებდნენ საფლავზე, მერე გადიოდნენ იმ საფლავზე და თავის მკვდარს იღონებდნენ, აე იცოდნენ დუშეთის რაონში, აქ არ იციან“ (ს. წიცლანი. მუსიკურული მუსიკურული — ლილუაშვილი. 78 წ.).

ეს ჩვეულება ორერთხელ დავამოწმეთ 50-იანი წლების ქირთლის ექსპედიციაში მონაწილეობის დროს. ამ მასალის მიხედვით, სსვაგან გარდაცვლილს, თუ მკითხავი ეტყოფა ან თვითონ სურდათ სასაფლაოზე საფლავს მოუზომავდნენ, ოლონდ სხვადასხვა წესით. ს. პირველ საძეგურში, ს. პავლიანში (მთიანი ქართლი) ჩაწერილი მასალით<sup>38</sup>, ურძნის ჯოხს მოზომავდნენ და საფლავში იმას ჩამარხავდნენ, ს. კორინთაში კი ასეთი ცნობა გვაძეს დადასტურებული: „აქ ვახს დამარხავდნენ და იმ კაცის პერანგა. ჯოხს პერანგს ჩაატევდნენ. ის ვაზი იხარებს“. შეიძლება სსვაგან გარდაცვლილისა და იქ დამარხულის საფლავიდან მიწა მოეტანათ და თავიათ სასაფლაოზე გაეკეთებინათ საფლავი. ან შინ მოუსელელის ტანსაცმელი გაეტანათ სასაფლაოზე და საფლავი ეკურთხებინათ.

### მცვალებულის ხარჯები

პირველი ხარჯი დაკრძალვის დღეს-თვეზე იმართებოდა. სასაფლაოდან მობრუნებულ ხალხს საგანგებოდ გამოყოფილი ზემდეგები სუფრასთან მიიწვევდნენ. კაცებს ცალკე და ქალებს ცალკე მოათავსებდნენ. როგორც წესი, ბევრად პირველად წანდილი უნდა ჩამოეტარებინათ. სუფრაზე უო ყვალა, თვეზი, ხორცი, კორკოტი, მწინილეული, მწვანილი. შეა პურისჭამაში კორკოტს მოიტანდნენ. სანთელს აანთებდნენ, საკმეველს დაამუკრდნენ და ჭირისუფალი იტირებდა. ზოგ რეგიონში კერესას ჩამოტარების შემდეგ ტირის ჭირისუფალი სუფრიდან აუდგომლად — „ცრემლის პურია. ცრემლით უნდა ჭამოთ. შემდეგ იცოდნენ მწვადის შემოტანა. 50-იან წლებში ჩაწერილი მასალის მიხედვით თავზე, რიგის ტრადიციული კერძები იყო: კოლიო, ბოზბაში, ხაშლამა, შილაფლავი, კორკოტი, თევზი, ყველი, ლობიო. გარდა, ამინა, ყველა ფე მყოფს ფახიდან მოჰქონდა ნაშეუქი და ქადა, რასაც დაჭრიდნენ და ყველას ჩამოურიებდნენ“.

თავზე იცოდნენ შესწევარი. შეაწევლენ ვისაც რა შეეძლო. „ჭირნახულით შეწევაც შეიძლება, შუმით დახმარებაც შეიძლება, ფლილითაც“ (ნინა მიხეილის ას. ლიჩელი, 57 წლ. ს. მეცვრისხევი, 1949 წ.)

38 ურძნის ჯოხს საკულტო მნიშვნელობაზე ის. მ. მაკალათი, შესატონლეობა თუშეთში, ქრ. „თუშეთი“, თბ., 1972.

შეიძლება სასმელი შეეწიათ, საკლავი და ა. შ. შეიძლება შენაც  
დახმარებოდნენ.

შესაწევარი მხოლოდ დამარცვის დღეს იცოდნენ.

ს. ორბეგოში ჩაწერილი მასალის მიხედვით წინათ მტკუცულებული-  
სათვის შესაწევრის გულზე დაყრა სცოდნიათ. აწევდნებ ჟულისტუ-  
მანეთს. შემდეგ დაუდგენიათ — „კაცი იღუპებათ და მოდი შესაწევა-  
რი იყოს დასაფლავების დღესათ. წლისთავისოფლის არა. როცა შე-  
ძელება, მაშინ გადავიხდიოთ. უცებ ყველაფერი სად გავიჩინოთ, მა-  
შინ გვჭირდება შესაწევარით. ეხლა დიდი სუფრები დაიწყეს და ნამე-  
ტანი გადააჭირდეს. წინათ გარეშე ხალხი არ მოდიოდა, ეხლა ზოგიერ-  
თი ისეთები არიან. არც ვიციოთ ვინ არიან“ (ლიხა სტეფანეს ას. ნარი-  
მანიძე — ბენიაძე, 75 წლ. 18. IV. 84 წ.).

შეიძლება, ორმოცხე, წლის წირვაზე შესაწევარს მხოლოდ ის მის-  
ცემდა, რომელიც დაკრძალებას არ დასწრებია და შეწევნა უნდოდა.

უკელა ხარჯი, გარდა შეიძისა საქლავით უნდა გადაეხადათ. ძა-  
რითარი ხარჯები თავზე და წლის წირვაზე იცოდნენ. ორმოცი ნაცლებ  
ხალხში და ნაკლები სამსალისით ტარდებოდა. მთხრობელთა გამო-  
ცემით ორმოცი გვიან შემოსულა. იგი ძეველად არ სცოდნიათ.

წლისთავზე, როდესაც წირვას გადაიხდილნენ. იმვე სალამის კე-  
რი უნდა იხადათ („ჭერის ახსნა“). საღვოო გადაეხადათ. საღვოოსოფერის  
სხვა პურს გამოაცხობდნენ. საქლავს დაკლავდნენ, ახალ სუფრებს გამ-  
შლიდნენ და გლოვას ლენით შეცვლიდნენ — იმღერებდნენ. ითამა-  
შებდნენ. შეეგძაც ამ დღეს გაიხდიდნენ.

როდესაც აღრე ჩაწერილ მასალებს (1917—49 წწ.) ცუდარებთ  
თანამედროვე ყოფაში ფიქსირებულ მონაცემებს, თვალში საკემია  
ის გარემოება, რომ მაგიურ-ჩელიგიური წეს-ჩეკულებები და რწმენა-  
წარმოდგენები. ასე მიცვალებულთან არის დაკავშირებული, ტითქმის  
არ შეცვლილ 40 წლის მანძილზე, მაგრამ ცხოვრების წესის შეცვლი-  
სა და თანამედროვე მოთხოვნილებათა დონის შესაბამისად, შეცვალა  
ამ წესის ზოგიერთი მხარე. ეს განსაკუთრებით ითქმის მიცვალებულის  
ხარჯებთან დაკავშირებით. ცნობილია, თუ როგორი ფორმები შილო  
ბოლო ხანებში მიცვალებულის დაკრძალვის წესმა: წრეს გადასული,  
ხალხმრავალი ქელებები, რომლის მონაწილენი საქმაო როდენობის  
თანხას აწევენ დაზარალუბულის ოჯახს, საქართველოს ცალკეულ კუ-  
თხეებში იმდენად მახიჯ ფორმებს იღებს, რომ რესპუბლიკაში ნეგატი-  
ურ მოვლენებთან ბრძოლის პირველ პრობლემათაგანად ისახება. რა-  
ტომ მოხდა, რომ ურთიერთდახმარების ტრადიციული ნორმები და-  
ირლვა, შესაწევარი ფულის თდენობა გაიზარდა, სამგლოვიარო სუფ-  
რა საღლესასწაულოსაგან თოთქმის არ განსხვავდება. ფულის მოგე-  
ბის სურვილია აქ ამოსავალი, თუ სხვა ფაქტორებიც მოქმედებს?

ქართლში მოსახლეობა სხვაგვარად უყურებს ამ მოვლენას. ეთხო-  
ბლები ძირითადში ამართლებენ ფულადი შესაწევრის არსებობას.  
მათი თქმით, იგი სესხია, ვალად ედება მიცვალებულის ოჯახს. კონი-  
ერთდაბარების ფორმაა, ოლონდ ცხოვრების თანამდებობაზე უჭირს,  
მისი დონის შესაბამისად შეიცვალა ხარჯის ხარისხიც და მასთა-  
თა რაოდენობაც. ისევე, როგორც დღეს არავინ ცხოვრობს შიტურ  
დარბაზში და თითქმის ყველას კეთილმოწყობილი სახლები თუ სასახ-  
ლები აქვთ, აღარავინ იცვამს ორმოცაან წლებამდე გლეხობისათვის  
დამახასიათებელ მარტივი თარგით შეკერილ ტანსაცმელსა და იმპორ-  
ტულ მოდურ სამოსში არიან გამოწყობილნი, აღარ აკმაყოფილებთ,  
ეთავილებათ მწვევილით, ლობიოთი, ყველით, კორკოტითა და მოხარ-  
შული ხორცით გაწყობილი სუფრა. ამ მხრივ გაიზარდა მოთხოვნი-  
ლება და იწია სათანადო დონე. თვით უკიდურესად მივარდნილ სო-  
ფელშიც კი ისეთივე წარმატებით ამზადებენ ამ რეგიონისთვის სრუ-  
ლიად უცხო დასავლურ კერძებს, როგორც გურული, მეგრული და  
იმერელი დიასახლისები. ამაში დიდი დამსახურება მიუძღვის ქორ-  
წინების სახლების გაფართოებას, ახალგაზირდობის ქალაქისაცენ  
ლტოლებს და იქ ფეხის მოკიდებას, ერთმანეთის წამხედურობას. სუფ-  
რის მრავალფეროვნება დღევანდელი ხარჯების აუცილებელი პირო-  
ბაა, თუმცა ტრადიციული კოლიო და შილაფლავი, კორკოტი, ახალ  
მენიუში აუცილებლად შედის.

როდესაც მოხრობელს ვეკითხებით — რჩება თუ არა შესაწევარი-  
დან ქირისუფალს თანხა, პასუხი ასეთია: „წინათ საში ან ორი მანე-  
თი იყო შესაწევარი, ეხლა რომ აქვთ, ამოდენა შეძლება კი არა ჰქონ-  
და ხელხსა. ხილი, ბოსტნეული ამდენი სად იყო. ეხლა სულ ცოტა  
თუმანზე ქვევით არავინ წავა ხარჯში. თუმანიც ცოტაა... აბა იაგვარიშე  
ხიზილაღა რა ღირს. მოდი და შენ 5 მანეთით მიდი! ეხლა საკლავი  
100 მანეთი ღირს. იმის ინტერესი არავის არა აქვს რო დამრჩესო. ერთმანეთის  
დახმარება არი. ხარჯს ორმოცი უნდა. წლისთვის უნდა.  
სხვა ინტერესი არავის არ აქვს“. თუ დღეს შესაწევარი სიით იკრიბება,  
არც ეს ეთავილებათ, ვინაიდან „თუ რამეს შეაწევენ, უკვე დავაღლება  
აქვთ, ახლა იმან უნდა გადაუხადოს, ეს არი სესხი და ვალი. ჟირი და  
ლხინი ყველას კარზე მიევა. წინათ ისიც იყო, რო სია არ იწერებოდა,  
არც დასატიკებისა და არც ფულისა. შეგვიწევია და დაკარგულა. მი-  
ცვალებულის პატრონს კი ეგონა — პამა და ისე წავიდაო. ეხლა სიით  
არი, ეგრე სქობია. ის არი დაუკარგავი. ისე პატივისცემაც იკარგებოდა  
და მისელა და ნახევაც იყარებოდა“, „მკვდარი უცებ არი და უნდა შე-  
ვაწიოთ ხალხმა, მა როგორ იქნება!“ (ს. ნიჩბისი, ანა ესტატეს ას. კან-  
დელავი — რაჭველიშვილი, დაბად. 1906 წ. 12. IV. 1983 წ.). „ეს წესი  
თანდათინ რთულდება, — გვეუბნება მოხრობელი, და არ გადავარ-  
დება. ვალია, ისიც ოჯახიდან არი გალებული. სოფელი კი არ მამარხი-

ნებს მკვდარს, ჩემი გაცემულობა მამარხვინებს. მე ვისთანაცა ვარ მა-  
სული, ისიც მოდის, რაც იხარჯება ის ანაზღაურდება ისევა (ს. არგ-  
თი, ლიზა სტეფანეს ას. ნარიმანიძე. 18. IV. 84 წ.).

როგორც ვხედავთ, ქელებების ხარჯებისა და შესაწევარულფრთხელ  
რაოდენობის დონე შესაბამება ცხოვრების პირობებს მდგრადი უძლიერ  
უმჯობესების, თანამედროვე სოფლის მოთხოვნილების დონეს. ტრა-  
დიციულად შესაწევრად განკუთვნილი თითო ვედრო ფქვილი, ხორბა-  
ლი და სიმინდი, საკლავი, ან ერთი ორი დღით საქმეში წახმარება, სრუ-  
ლიად არ არის საქმარისი იმ დიდი დანახარჯის შემსუბუქებისათვის,  
რაც თანამედროვე ქელებს ახლავს და რომლის გადახდა პრესტიუს  
საქმედ არის ქცეული. იმიტომ შემოილო ხალხმა ეს წესი, რომ სხვა  
გზით ვერ შეძლებდნენ უზომო თანხების გადახდას. რომ ამ მხრივ მუ-  
ლი სოფელი ერთმანეთს უდგას გვერდში, ეს იქიდანაც ჩანს. რომ  
საერთო თანხით სასოფლოდ შეძნილი აქვთ სეფის გასამართვი კა-  
რავი, ჭურჭელი და ხშირ შემთხვევაში სკამები და მაგიდებიც კი.

დიდი ხარჯიანობისა და შესაწევარის ოდენობის გაზრდის მიზე-  
ზი მოვლენათა მთელ კომპლექსშია საქმარი, სადაც გამორიცხული არ  
არის მომხვეჭელობის სურვილიც. ხანში შესული მოხრობელები რო-  
მელთაც ახსოვთ ხარჯების გადახდის რეცლად მიღებული წესი, უჩი-  
ვიან არა იმას, რომ ურთიერთდაბმარების ფორმა არსებობს, არმედ  
იმას. რომ შეტად გაიზარდა ქელების მასშტაბები, ხალხმრავალი გახდა  
და ზოგჯერ შესაწევარის აღების მიზნით, უწესო საქციელს აქვს აღვი-  
ლი („ერთმა რუსეთიდან ჩამოასვენა სიდედრი შესაწევრის გულისთ-  
ვის“).

ხალხმრავალი ქელებების გამართვას გარკვეულად უწყობს ხელს  
მიმოსვლის გაოლება. რომ არაფერი ვთქვათ სახელმწიფო ტრანსპორ-  
ტზე, რომელიც ყოველ სოფელში მიღის, მოსახლეობის დიდ უმრავ-  
ლესობას საკუთარი ივტომანქანები აქვთ და იოლად შეუძლიათ მან-  
ლობლებისა და ნაცნობ-მეგობრების ჰირის დღეებშე მისულა.

შესაწევრით დაინტერესება მოსახლეობაში ნამდვილად არის. მაგ-  
რამ ძირითადად ხარჯებისათვის საჭირო დიდი თანხების გასტუმრების  
მიზნით.

დღევანდელ ქართლში ზიდი ქელებების გამართვა სრულ ძალა-  
შია და თანდათან უფრო მტკიცდება. ამ ჩვეულების თანდათანობითი  
გაქრობის ან შესუსტების პერსპექტივას აღვილობრივად განათლების,  
ცივილიზაციის დამკვიდრებაში ეხედავთ. ოვითონ უნდა მივიდეს მო-  
სახლეობა იქამდე, რომ ამდავვარი ხარჯების გადახდა ძველი, ქეშა-  
რიტად მიცვალებულის დაფასების ტრადიციიდან გადახვევას. მემა-  
ნობამდე მისელას და მომხვეჭელობას ნიშნავს, რომ უზომო სმა-ჭამა.  
გლოვის ნაცვლად საზეიმო ელფერს აძლევს ამ ხარჯებს. და რაც არ

უნდა ვალად ჩათვალონ შესაწევარი, იგი მაინც ეკონომიკურ სამაულს  
აუენებს მოსახლეობას მეტისმეტად გაზრდილი ოდენობის ვაშტ

## მიცვალეაზულის მოსაგონარი დღეობითი ეროვნული გილეკოროგიური

გარდა ხარჯებისა, მიცვალებულთა მოგონება ხდებოდა სხვადასხვა  
დღეობა-უქმების დროს. ეს დღეობები ქართლში ძირითადად ქრისტია-  
ნულს ემთხვევა და დაკანონებული რიგის მიხედვი მოდის. ახალი  
წლის დასაწყისიდან თუ მოვკებით, მკედრის მოსაგონარ დღედ ითვ-  
ლებოდა წყალკურთხევა. ამ დღეს გარდაცვალების პირველწე-  
ლიწადს მიცვალებულის პატრონი შილაფლავს მოხარშავდა. თუ მე-  
ზობლებში დაარიგებდა ნაკურთხ მარილმყრილს, ერთი წლის შემდეგ  
კი მეტადმოდა ხორმალი მოეხარშათ და ისე ეთქვათ შენდობა მიცვა-  
ლებულისთვის.

ხორციელის შებათი ყველიერში, დიდშარხვის დადგო-  
მადე მოდიოდა. ამ დღეს კორკოტს მოხარშავდნენ. ერბოთი შეა-  
ცებდნენ და სოფელში დაარიგებდნენ თეფშებით. კენტი უნდა ყოფი-  
ლიყო ჩამოსარიგებელი ულუფა.

დიდმარხვის კვირის წინა დღეს აღება მოდიოდა. მიც-  
ვალებულის პატრონი წანდილს მოხარშავდა და მეზობლებში დაარი-  
გებდა.

აღთვამას აც პირველ წელს გარდაცვლილისათვის აუკილებ-  
ლად უნდა დაეკლათ ბატყანი და საფლავზე გასულიყვნენ. წითელ პა-  
რას კევს — ლობის მოხარშავდნენ, ხმიადს გამოაცხობდნენ და  
დაარიგებდნენ, ყველის აძლევდნენ ვინც შეხვდებოდათ.

პზომას თვეებს გაუჭრიდნენ მიცვალებულს (ჩურგველს), სამ  
ტალზე მოჭრიდა მღვდელი თავისათვის. დანარჩენი პატრონს უბრუნ-  
დებოდა. მეზობლებში დაარიგებდნენ ლავაშს და თითო ნაქერ თვეზეს.

სულფენიობა, იგუე ვარდის ტაბლობა კახეთში, ძვ.  
მაისში მოდიოდა. ქადებს დააცხობდნენ, ტყბილეულს მოამზადებდ-  
ნენ. წინათ საკლავიც სცოდნიათ და საფლავზე გავიდოდნენ. „ზიზი-  
ლები“ (ყვავილები), წიფლისა და კაკლის ფოთლები გაჭრონდათ და  
საფლავზე აწყობდნენ.

- ფერიცალობა — მოდიოდა აგვისტოს ექვსში, მარიამობის  
ორი კვირის სწორზე. საფლავზე ხილი უნდა გაეტანათ, სანთელი აენ-  
თოთ და ყვავილი დაეყარათ.

ენკენიას აკურთხებდნენ ახლად შემოსულ ხილს. საფლავზე  
გაიტანდნენ მეზობლებში დაარიგებდნენ.

სულთაობა, სექტემბრის 27-ში მოდიოდა ახალი სტილით. ამ  
დღესაც ხილის დაარიგება იცოდნენ.

მიცვალებულის მოსაგონარი დღეობების შესახებ საგანგებო კარე-  
ვა-ძიებას ეწევა დ. გიორგაძე, რომელსაც ეკუთვნის გამოყენებული  
სულთაკრეფის (სულფენობის) შესახებ<sup>39</sup>. წყალკურთხევაზე<sup>40</sup> და სხვა  
დღეობებზე, რომელიც ჯერ გამოქვეყნებული არ არის. მასტანის მიერ კანკების დასკვნა ფშავ-ხევსურული სულთაკრეცის, აგრე-  
ს სულფენობის შესახებ, რომ ეს დღესასწაული ერთი მხრივ, მიცვა-  
ლებულის კულტთან დაკავშირებული დღე იყო, ხოლო მეორე მხრივ,  
ბუნების ძალთა ოლორძინებისთვის განკუთვნილი აღრე საგაზაფხულო  
დღეობა, რომელიც მიზნად ისახავდა მიწის ბარაქიანობის გადიდებას,  
საქონლის გამრავლებას და ოჯახის კეთილდღეობას. მიუხედავად იმი-  
სა, რომ ეს დღე ქრისტიანული დღეობაა და ქრისტიანულ კულტთან  
დაკავშირებული, მასში მაინც ხერხდება აღვილობრივ შეხედულება-  
თა ანარეკლის დანახვა და მისი გააზრიანება მიწისა და მიცვალებუ-  
ლის დუალურ ღვთაებად. მისაღებია მცი დასკვნა წყალკურთხევის  
დღესასწაულის შესახებ, როგორც მიცვალებულისთვის და სიუხვე-  
ბარაქიანობისათვის განკუთვნილი დღეობისა.

დღეობები, რომლებიც მიცვალებულის მოგონებისთვის არის გან-  
კუთვნილი საგანგებო კვლევას მოითხოვს, რაც ჩვენ არ გვიწარმო-  
ებია. ამიტომ მხოლოდ მათი ჩამოთვლით შემოვიდარგლეთ.

თავისთავად ამ დღეობათა შესწავლა უნდა მოხდეს სოციალური  
ასპექტითაც, იმის გათვალისწინებით, თუ რა გარემოში (ოგაზი. გვა-  
რი, სოფელი )და რა ფარგლებში ხდება დღეობის ჩატარება და ვის  
რა როლი ეკუთვნის რიტუალში.

## ს უ ღ ა თ ი

წარმოდგენები სულეთის შესახებ ქართლში ძრითადად ისეთივეა,  
როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში. განსხვავება იგრძნობა ცალ-  
კეულ შეხედულებებში. ქართლში შეკრებილი ყველა მონაცემი რომ  
ვაკერტითანოთ, ძირითადად ასეთ სურათს მივიღებთ: საიქონ ქვეს-  
კნელშია (ზოგი მასალით ცაში), გარდაცვლილს საიქონ კარგბთან  
ორი ძალი ხვდება. რომლებიც იმ შემთხვევაში გაატარებენ მას. თუ  
— ძალლისთვის სააქაოს პური აქვთ გადაგდებული, (მკვდრის გულშე გა-  
დატეხილი, კუტად ჩავარდნილი). საიქონ სუსტად განათებული სამ-  
ყარაო. ზოგი მასალით სინათლეს აქ გაჩახჩახებული სანთლები იყე-  
ნებს, რომლებიც სააქაოს მიცვალებულთათვის ენოება. არის მასალა  
იმის შესახებ რომ საიქონ თავისი მანათობელი მზე აქვს.

<sup>39</sup> დ. გიორგი გამარჯვე, დასახ. ნაშრომი, გვ. 119—121.

<sup>40</sup> დ. გიორგი გამარჯვე, ახალი წლის დღეობათა ციკლი აღმოსავლეთ საქართვე-  
ლოს მთაწმინდის „მაცნე“, სტორის არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის სერია, № 2,  
1984, გვ. 129.

ისე, როგორც ქართლელის შეხედულებას შეეფერება აზგონიშვილის სიკვარგის შესახებ, — სიქიონ გამლილი, ბალ-ვენახებით, სამოვალებო-თა და ნათესებით სავსე მინდორით. ჭირისუფლის მიერ ჩათეს სფრაუზულები ბალი, მოხარშული კოლიო და კორკოტი, იქ მიცვალებულს კუჭუჭმისაუკუკერებელი ჯეგილად, სამოვრად ამოდის. მაგ ჯეჯილს სბოვენ მისთვის დაკლული ცხოველები (ცხვარი, მსხვილფეხა საქონელი).

სააქაოს კორკოტი ხორბლისა უნდა მოიხარშოს, ლობიოს შერევა არ შეიძლება, რადგანაც საიქიონს ერთად ამოდის და ჯეჯილს შესეული ცხვარი ლობიოს უფლებებს მიცვალებულს ვისაც რა ხელობა პერნდა სააქაოს, იქაც იმ საქმეს ასრულებს. ბეწვის ხილშე გასული სულები საიქიონს გარკვეული წესრიგის მიხედვით ცხოვრობენ, ცოლ-ქმარი ერთად ოჯახით არიან, მოხუცებულები ცალკე, ახალგაზრდები მამულებია და იქ მხიარულობენ, თამაშობენ, პატარა ბავშვები, ანგელოზებით ვინც იხოცება. კაკლის ხეებზე სხედან, თავი აქვთ, მხრები და ღულუნებენ. სააქაოს რომ კაკალს ჩაგდებენ ცეცხლში, იქ კაკლის ხედ ამოვა. ლებანი კი ფოთლად იქცევა. სხვა ბავშვები ფრინველებია და დაფრინვენ.

სიქიონის თავისი გამგებელი, მეუფე ჰყავს, რომელსაც ქვეშევრდობები — ბედის მწერლები ემსახურებიან. ისინი აწესრიგებენ ვინ სად უნდა წავიდეს, ცოდვიანს ჯოჯოხეოში უშვებენ, მაღლიანს სამოხახეში, სხვებს ჩვეულებრივ სულეთში.

სიქიონში არჩევენ ცოცხლების ბედს, ვინ როდის ან რითი უნდა დაიღუპოს.

ზოგიერთი მასალით, გათხოვილ ქალს დედას არ უჩევნებენ. სააქიონს შეხევდრილ დედა-შვილი, სამოთხის კარი ღია დარჩენიათ და ამაზე გამწყრალა საიქიონს გამგებელი.

სოციალური უთანასწორობა იქ არ არის. გარჩევა მხოლოდ იმაშია, რომ ზოგ მიცვალებულს სააქაოს ყოველთვის იგონებენ და მდიდრულ სუფრას უკურთხებენ. მიტომ მას სხვაზე უკეთესი ულუფა აქვს. უზატრანონ მკვდრები მშევრები და საწყლები არიან.

— არის შეხედულება, იმის თაობაზე, რომ დახოცილი ბავშვები იქ იჩრდებიან. მიტომ დიდი ზომის ტანსაცმელი ჰიტრებათ. იმდენად სწავლით სიქიონ ცხოვრების არსებობა, რომ ერთი მთხრობელი წუხდა, „ქმარი რომ გარდამეცვალა, ქუდი არ გამიტანებია და ალბათ ცივა. ეხლა მე რომ მოვკედები, ქუდი უნდა წავულოო“ (ს. ზემო ნიჩბისა, 12. IV. 1983 წ. ანა სტეფანეს ას. კანდელაკი — რაჭელიშვილი, დაბად. 1906 წ.). სხვა მასალის მიხედვით: როდესაც მიცვალებულისთვის განკუთვნილი თავმოსახვევი არ ჩაუტანებიათ. „მკითხვემა დაიძახა: — რა იქნა თავზე რო მეხურაო, რათ ამგლიჯეთო, მანდილოსანი დედაკაცი ვარ, მცხვენია. ბარინის ბალში რო გავალოთ მცხვენიან, გუშინდელი ქალი რომ არა გარო“ (იგივე მთხრობელი).

მავე რიგის შეხედულებასთან გვაქვს საქმე. როდესაც მუდავაკლილები ჩივიან თავისოფერის არასასურველი საყლავის დაჯდომაზე კუთი მკვდრისითვინ თხა დაცეკლათ — რალა ეს დამიტელი, მისი დაცვით მუხლები არა მაქვს, ხან იქა ხტება ნეკერზე, ხან აქაო“. მარტინი მუდავაკლილები დედამთილისთვის ორი დეკული დაუკლით ხაჭატუ, შეკულებული სიზმარში გამოსცხადებია რძალს — „მაგათი დევნის თავი მაქვსო? რად გინდოდათ რომ დამიტალით“. „საიქიოს მხილველი“ ქალი გვამბობს — „ბალებია იქ ისეთი რო?... პატარ-პატარა გზა არი და პატარ-პატარა ოთახებშია ქალები სხედინ, ზოგი ჩურჩხელის ასხაშს, ყურძნის გავანს აკეთებს. ზოგი ვაშლს, მსხალს არჩევს... ვაბლი დედამიწის პირას არი თონე, ამ ქალსა პური აქვს ჩაკრული“ და ა. შ.

ქართლური მასალებით სულებს იმს მიხედვით სკინ, რა ჯანმაულიც საქაოს მიუძღვით. მაგალითად, ქალი, რომელიც მურის გამოცხობის შემდეგ თონეს კოცხს არ მოუსვამს და არ გაშმინდავს. საიქიოს შიშველი ძუძუებით წმინდავს გვარვარებულ თონეს, ქურჯა და ცოდვილმა ჩარ-ეკალზე უნდა იაროს ფეხშიშველმა და ა. შ.

საყურადლებოა, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში საიქიოს ბენათართა მოთხოვნილება სხვადასხვანაირად აქვთ წარმოდგენილი. აღმოსავლეთ საქართველოს მთის მცხოვრებლებს თავიანთი მაკალებულისიათვის ისეთ საგნებს „სდებენ სახელს“ რომელიც მათი წარმოდგენით. იქ ესაქიროებათ, მაგალითად, ცხენის დაკურობება მიკალუბულისათვის აქ ჩვეულებრივი ამბავი იყო. „სულის ცხენი“ საიქიოში ზიკვალებულის კუთხინილებად ითვლება. ჭირისუფალი როგორაც მას ქერს აქმევდა, შენდობას ეტყოდა: — სადაც შენ ხარ, შენიმდე საქმარი ას, შენს ცხენსაც აქმევ, ცხენ უქერბობითამც ნუ დაგიღონდებისა-დ მჩებრთხმი იქნებისა თუ ცხენთაში, უკენამც ნუ ჩამაშჩებ ამხანიგებს“, ასევე დასდებდა სახელს საუკეთესო თვის ზეინსაც: „ — სადაც შენ ხარ, შენამც ხმარობ ეემ თივის ცხენის საჭმელად, შენს ცხენს დასჭირდებისა, თუ სტუმარ ვარ მაგივ იმის ცხენს დასჭირდებისა. შენაც გვკმარების, შენაც გერგების, უთივობაიმც ნუ შაგაწუხებს“<sup>41</sup>.

სახელს სდებენ „წყრულის“ სახევიგლასაც — ჭრილობის შესახვევს. თუ მიკალებულა ჭრილობისაგან გარდაიცვალა.

თუ ბარში, კერძოდ ქართლში, საიქიო ბალ-ცენახების, მწვანე მინდვრებისა და კაკლის ხეების წალკოტად აქვთ წარმოდგენილი. მთელს იგი თავისოფერის ცნობილი კოშკით წარმოუდგენია. მთის სერები ცხენების საჭიროთოდ. ხოლო წყალი მათსავე დასაბანად. თავისი ცხოვრების სოციალური სურათიც დაუხატავს და მკვდართა სამყოფელი ვვაროვნული გაერთიანებების — ანდაფების მიხედვით დაუყვით.

41 მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის III, გვ. 57.

შეუხედავად წარმოდგენათა ნაირგვარობისა საქართველოს ყოფილ კუთხეში შეხედულებათა ერთიანობა მაინც იგრძნობა. ყველგან სწორ რომ სული ორმოც დღემდე საქაოს ტრიალებს, და ზედამრჩეობა მოქმედებს თვალყურს ადევნებს. ამის შემდეგ კი საიქიოს გრიფში მოწყვეტილი უნდა წარსდგის. ყველგან დასტურდება რწმენა სულთა ტექნიკური სტუდია არსებობისათვის საქაოს დარჩენილ ჭირისუფალთა მიერ ყველა იმ ხარჯისა და მოსავონარი დღების გადახდის აუცილებლობის შესახებ. რაც მიცვალებულისთვის არის განკუთვნილი. ყველგანვე მიაჩინია. რომ საქაოს დარჩენილთა ბედ-ილბალში მიცვალებულთა სულები აქტიურად ერევიან და ისე წარმართავენ, როგორაც არიან მათ მიმართ განწყობილნი. „სულები მონაწილეობდნენ როგორც ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო, ისე სოციალური მნიშვნელობის მქონე საქმეების მოწესრიგებაში. მაგალითად ხევსურთა რწმენით, სულები ჩვეულებით სამართალში — რეზულშიაც მონაწილეობდნენ. თუ სიქიოს არ გარჩეის საქმე, საქაოს მტრები ვერ შერიცდებოდნენ. სულებს შეუძლიათ ჩხებისა და აყალიბალის გამოწვევა ხალხიანობაში. დოღის ცენტრისთვის გამარჯვების მოტანა, ნაწველ-ნადლვების გაუბარებობა და ა. შ.<sup>42</sup>.

სულთა ყოვლისშემძლეობის რწმენა კარგად ჩანს სვანურ ლიფანალში, რომელიც მიცვალებულთა დღეობას წარმოადგენს<sup>43</sup>. ლიფანალის დროს, ოჯახში სტუმრად მისული სულები „როდესაც სუფრას შემოუსხდებოდნენ. ოჯახის უფროსი ამ სუფრების წინ დაიხოქებდა და მათ შეეხევეშებოდა. რათა ცელიცა და ახალი მიცვალებულებიც კარგი ფეხით შემოსულიყვნენ, ოჯახის წევრი და პირუტყვი დასამარცხებლად არ გამეტებინათ, ოჯახისათვის ბარაქა მიეცათ“<sup>44</sup>.

„სვანთა რწმენის თანამად, სულთა საკრებულოში მიცვალებულთა ბჭობა იმართებოდა, სადაც სულები სვანებისათვის მოსალოდნელ მთელი წლის ბედ-ილბალს წყვეტდნენ (გამდიღრება, გაუბედურება, კარგი ან ცუდი მოსავლის მიუქმა. საქონლის დახმუვა და გამრავლება, ცოცხლად დატოვება ან საიქიოს წყვევანა და სხე)“<sup>45</sup>.

სულთა ამ ფუნქციაზე მიუთითებს თ. სახოკი სამეცნიეროში<sup>46</sup>. ამ შეკერულებას საყოველთაო ხელიათი აქვს და ქართლელთა წარმოდგენებიც ამდგვარია, ოღონდ აქ სულთა ყოვლისშემძლეობის რწმენა

42 ნ. და გ. ბალიაშვილი, წარმოდგენები საიქიოს ხევსურეთში, რც. გ. 11, გვ. 135—141 (ც. გვახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, ეთნოგრაფ. განყ-ბის არქივი).

43 ც. ბალიაშვილი გ. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I, ნაკ. II, თბ., 1939.

44 იქვე. გვ. 25.

45 იქვე.

46 თ. სახოკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 176.

რამდენადმე შესუსტებულია. სულებმა იციან რა მოელით სააქციოს დარჩენილებს, მაგრამ ოვითონ არ შეუძლიათ ისეთი ზღაპრი მას სარგებლობა მოუტანონ შათ, როგორც ეს ჰემოთ მოტანილი მასალები მანედვით ჩანს არის მასალა იმის შესახებ, რომ მიცვალებულებულების შესწევთ უნარი ნაწველ-ნადლვებისათვის ბარაქის დაფრგლურულებულების სხვადასხვა კუთხების მასალათა ურთიერთშედარება ვვიჩევ-ნებს რომ სულეთის შესახებ არსებული წარმოდგენები ამ კუთხეთა ყოფის თავისებურებათა მიხედვით არის შემუშავებული, რასაც საფრე-ლაზ უდევს საერთო ქართული სარწმუნოებრივი შეხედულებები. თა-ვისთავად ეს შეხედულებები ემყარება როგორც ზოგად, რელიგიის აღრეული ფორმებისათვის დამახასიათებელ წარმოდგენებს, ისე სხვა-რელიგიების (ქრისტიანობა) დოგმებს.

ქართლში მოპოვებული მასალის განხილვამ მიცვალებულის კულ-ტის შესახებ გამოავლინა, რომ წეს-ჩეეულებები, რომელიც მიცვა-ლებულთან არის დაკავშირებული, ძირითადად ერთნაირია საკვლევი რეგიონის ყოველი მიკრორაიონისათვის. სხვაობა, რომელიც ამა თუ იმ წესის არსებობის ან შესრულების თავისებურებით გამოიჩინა, იგრ-ძნობა ისეთ ადგილებში, რომლებიც ესახლვრება აღმოსავლეთ საქართ-ველის მთის ზოლს (საფლავის მოზომვა, თმის მოჭრის ჩვეულება, და ა. შ.). ამასთან ერთად, ნათელი გახდა, რომ მაგიურ-რელიგიური წეს-ჩეეულებანი. რომლებიც სრულდებოდა მიცვალებულის მიმართ ორმოცი წლის წინ ჩაწერილი მასალის მიხედვით, იმგვარადვე სრულ-დება დღესაც. სხვაობა თვალში საცემია ისეთი ჩვეულებების გაქრო-ბის ხაზით, რომელთაც თანამედროვე ყოფაში პრაქტიკული გამართ-ლება არა აქვთ (მიცვალებულის დროს სამუშაოს აღვეთა სოფელში 3 ან 7 დღით, საქორწინო ტანსაცმელში დაკრძალვა და სხვა). სხვაობა ელინდება მიცვალებულის ხარჯებთან დაკავშირებით, რაზედაც ზემოთ იყო საუბარი.

თვალში საცემი განსხვავება 40 წლის წინათ არსებული ვითარე-ბისაგან, მხოლოდ სასაფლაოების მოწყობის ხაზით ელინდება. იმ პე-რიოდში საყოველთაოდ გავრცელებული მარტივი, კუბოს მოყვანილო-ბის ქვის ძეგლები, დღეს შეცვლილია საცხოვრებელი ოთახის მსგავ-სად მოწყობილი და გადახურული საფლავებით.

## ПОГРЕБАЛЬНЫЕ ОБРЯДЫ В КАРТЛИ В ПРОШЛОМ И НАСТОЯЩЕМ

Резюме

Труд написан на основе полевого этнографического материала, собранного автором в 1947—49-х и 1983—84-х годах в

Картли, что дает возможность проследить трансформацию изучаемого культа за 35 лет.

Описаны и изучены все основные элементы погребального обряда. Выявлена сравнительная устойчивость религиозных представлений и ритуального действия, которые ныне совершаются по силе традиций.

Внимание уделено практикующим за последнее время многолюдным похоронам, которые устраиваются не без корыстных целей. Древняя традиция помочь ближнему в беде, становится источником нажива.

Высказано мнение, согласно которому, самым эффективным средством борьбы против этого негативного явления, является повышение культурного уровня и просвещение населения, ибо культура и мещанство несовместимые понятия.

სირით „ტრადიცია და თანამდებობა“ გამოცემის:

1. გ. ნადარე იშვილი, გ. ხელი რიანი — ზოგი მავნე წეს-ჩეცულების შესახებ. 1979 წ.
2. ვ. ჩიქოვანი — მავნე ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პერიოდის მიხედვით. 1979 წ.
3. ნ. ჩუტკერაშვილი — ხალგაზრდობაში რელიგიურობის გამოვლენის თავისებურებანი და მისი დაძლევის გზები. 1980 წ.
4. ზ. თანდილავა — შუამთობის ტრადიციები და ფოლკლორი. 1980 წ.
5. ქ. რუხაძე — ხალხური დღესასწაულები და თანამედროვეობა. 1980 წ.
6. შამანაძე — ცრუმორწმუნეობის და მასთან დაკავშირებულ წეს-ჩეცულებათა კრიტიკა ფოლკლორში. 1980 წ.
7. ალ. რობაჭიძე — ტრადიცია და ცხოვრების წესი. 1981 წ.
8. მ. ბექაძე — საოგანო და საქორწიონო ტრადიციების მნიშვნელობა თანამედროვე ქართული ოჯახის სიმტკიცისათვის. 1981 წ.
9. მ. კეკელია — ეროვნული ჩეცულებების და ტრადიციების ბუნებისათვის, 1982 წ.
10. გ. ყორანაშვილი — ეთნოფსიქოლოგია და ტრადიციები. 1983 წ.
11. გ. ყორანაშვილი — ეთნიკური თვითშეგნება და ტრადიციები. 1984 წ.
12. გ. ახვლედიანი — ტრადიციების პრობლემები XVIII—XIX საუკუნეების ქართველი ისტორიკოსების ნაშრომები. 1984 წ.
13. ნ. ჩაფიძე — ეროვნული კულტურის სოციალური ფუნქცია. 1985 წ.
14. აკ. კაცაძე — საქართველოს მოსახლეობის მიგრაციის ტრადიციული ფორმები და თანამედროვეობა, 1985 წ.
15. ლ. მარგოშვილი — პანკისელი ქისტების წეს-ჩეცულებები და თანამედროვეობა. 1985 წ.
16. ა. სოხაძე — წეს-ჩეცულებათა ვარგისიანობის კრიტერიუმისათვის. 1985 წ.

17. ნ. კაპანაძე — ბავშვის აღზრდის ქართული ხალხური წერ-  
ჩვეულებანი. 1986 წ.
18. ლ. მელიქიშვილი — ტრადიციული საქორწინო წერტილები  
ულების სტრუქტურის ანალიზი და ინოვაცია. 1986 წ. გიგანტი
19. თ. ოჩიაური — დაკრძალვის წესები ქართლში ძველად და  
ახლა. 1987 წ.
20. ლ. ბ. ფაშავა — საქართველოს ქურთების საქორწინო წერ-  
ჩვეულებების პოზიტური და ნეგატიური ელემენტები. 1987 წ. (რუ-  
სულ ენაზე).



## შ ი ნ ა რ ს ი

შესავალი	3
გარდაცვალების ორის შესრულებული წესები	7
მიცვალებულის დაქრძალვა	18
მიცვალებულის ხარჯები	25
მიცვალებულის მოსავონარი დღეობები	29
სულეთი	30
Погребальные обряды в Картли в прошлом и настоящем	34

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედაქტო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სპ 3748

გამომცემლობის რედაქტორი გ. ლ. ქ ა ვ ა რ ი  
მხატვარი გ. ლ მ ი ძ ე  
მხატვრული რედაქტორი ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე  
ტექნიკური აკტორი ნ. პ ი კ ე რ ი ძ ე  
კორექტორი ც. ქ ი ტ ი ა შ ვ ი ლ ი  
გამომუშები ე ლ. მ ა ი ს უ რ ა ძ ე

გადაეცა წარმოებას 17.7.1987; ხელმოწერილია დასაბეჭდად 19.10.1987;  
ქაღალდის ზომა 60X90/16; ქაღალდი № 1; ბეჭდვა მაღალი;  
გარნიტურა ენტრი; პირობითი საბეჭდი თაბახი 2.5;  
პირ. სალ.-გარ. 2.8; სალიციურო-საგამომცემლო თაბახი 1.9;  
სუ 01064; ტირაჟი 1000; ფაკტითა 2544;  
ფასი 30 კაპ.

---

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტეზოვის ქ., 19  
Издательство «Мецнериба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტეზოვის ქ., 19  
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19



შემოსილია  
— ფილის (ქადაგი)

Тинатин Алексеевна Очиаури

ПОГРЕБАЛЬНЫЕ ОБРЯДЫ В КАРТЛИ  
В ПРОШЛОМ И НАСТОЯЩЕМ  
(на грузинском языке)

«МЕЦНИЕРЕБА»  
ТБИЛИСИ  
1987

